# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 27 ხარასკევი, 5 თებერვალი 1910 წ. № 27

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5 დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ იბარებს. რედაქცია ინახავს მხოლოდ დიდ წერილებს და მათ კორექტურას. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი ფოფის ქუჩის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: "Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



მოულოდნელ მწუხარებით თავზარდაცემული **ქუთაისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის მასწავლებელთა და აღმზრდელთა კორპორაცია** აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას უდროოდ გარდაცვალებას თავის დაუვიწყარ და უძვირფასეს ამხანაგის ამა სასწავლებლის ინსპექტორის

## მელიტონ იესეს ძის ჩიგოგიძისას

პანაშვიდი ყოველდღე 12 და 6 საათზე, პეტრე-პავლეს ქუჩა, სახლი კიკნაძისა. გამოსვენება ცხედრისა საეპარქიო სასწავლებლის ეკლესიიდან კვირას, 7 თებერვალს, წირვისა და პანაშვიდის შემდეგ სოფელ ბანოჯაში. (3—კვ.—2)

მეუღლე **ალექსანდრა ჯუღელი**, შვილები—**მარგარიტა, ნორა; სონა და ვალენტინა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას, 7 თებერვალს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი

## სევერიანე მოსეს ძე ჯუღელის

სულის მოსახსენებლად. (2—1)

**წარმოდგენა № 33.** ქართული თეატრი **წარმოდგენა № 33.**

**კვირას, 7 თებერვალს 1910 წელს**

## ბენეფისი მარო მდივანისა

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ **ქ-ნ ნ. კოლხიდელის, ნ. გამყრელიძის და ვლ. სარ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით**, წარმოდგენილი იქნება:

I.

**პირველად შალომ აშის პიესა**

## „შურის ძიების ღმერთი"

დრამა 3 მოქმედებად ი არგ. გრ. აბაკელიასი.

II.

**ივ. გომართელის ახალი პიესა.**

## დრამატიული გამგეობის ღევრი

კომ.-ვოდ. 2 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი სალამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოს. **„ძია ვანო", „ნამუსისათვის", „დანაშაული და სასჯელი".**

რეჟისორი **ვ. ალექსი-მესხიშვილი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**შაბათს, 6 თებერვალს, 1910 წელს,**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ **კ. ნ. შათირიშვილის** რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება

I. **გაცრუებული იმედები** კომ. 2 მოქმედებად აზიანისა.

II. **პარიზელი ბიჭი** პიესა ორ მოქმ. თარგ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანკარა, გოგოლაშვილი, თამარაშვილი, ბარათაშვილი, ნებიერიძე, ქიქოძე, ციმაკურიძე; ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, გოცირიძე, ზურაბიშვილი, მეტრეველი, ნარი და პეპანოვი.

**დასაწყისი სალამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

**ანონსი:** მზადდება წარმოსადგენად: **„იმედის დაღუპვა", „უდანაშაულოდ დასჯილნი"** კომ. 4 მოქმ. ოსტროვსკისა, **„ბ ძია ვანო"** ა. ჩეხოვისა და სხვა.

რეჟის. **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ლ. ვახვახიშვილი.**

**ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი**

## მ. ა. გაჩეჩილაძე

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:

(10—1) **ტფილისი, ვორონცოვის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ. და პარას. 1—2 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10 1/2—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2 1/2—3 1/2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანხვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—101)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11 1/2—12 1/2 ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2 1/2 ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—263)

კახეთის მევენახეთა საზოგადოების

## „კახეთის"

გამგეობა აუწყებს წევრებს, რომ 18 თებერვალს 1910 წ. დანიშნულია ქ. თელავში **მეორე წლიური საზოგადო კრება**, რომელმაც უნდა განიხილოს:

1. 1908—1909 წლის ანგარიში.
2. 1909—1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და მოქმედების გეგმა.
3. მოხსენება საქმის გამგებლობის ცვლილების შესახებ.
4. განხილვა გამგეთათვის სახელმძღვანელოდ შედგენილ ინსტრუქციისა,
5. განხილვა სესხის აღების პირობებისა,
6. გამგეობის ერთი წევრის და სარევიზიო კომისიის სამი წევრის არჩევა.
7. მორიგი საქმეები. (3—6—2)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—99)

## ქუთაისში ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი 5 1/2—6 1/2 ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და სამარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6 1/2—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტროტერაპია—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—24)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—51

## ექიმი მ. დ. ბეთანოვი

**ქუთაისში,**

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—9)

## ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—17)

## ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—14)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

## ხარექოვი

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გვგუთის ქუჩა). აბულაძის მესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—5

## ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—359)

## ექიმი გ. მაგაკიანი

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—88)

## ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—92)

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## ექიმი ვასილ წერეთელი

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—108)

## ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—8)

## ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

## ◀ ვკისრულობ დაცვას ▶

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; გამლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საარბიტრო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვამლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—ნ.—34)

**ვერის სახალხო აუდიტორია**

შაბათს, 6 თებერვალს,

ქართულ სცენის-მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

## „ერთი ნაბიჯით წინ"

დრ. 4 მოქმ. ა ცაგარელისა.

ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, წესიერება თვითონ დაიცვან.

**დასაწყისი სალამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასები 5 კაპ.—25 კაპ.

ადმინისტრატორი **კოსინკოვი.** (1—1)


## ადგილობრივ რუსულ პრესის გათახსირება

ადგილობრივ რუსულ პრესის მოღვაწეთა ბანაკში კვლავ დიდი და სამარცხვინო სკანდალია. იგი უტყუარად მოწმობს და შეურყეველის ფაქტებითა და საბუთებით ღაღადებს, რომ ტფილისის რუსულ პრესსას დაჰპატრონებიან ელემენტები, რომელთაც არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეთ პრესსასთან, მით უმეტეს, მოწინავე პრესსასთან. აღარ არის არც პრინციპები, არც ეთიკა, არც კარგისა და არც ცუდის გარჩევა, არც მორიდება საზოგადოებისა. ყველაფერი შესაძლებელია, ყველაფერი მოსაწონია...

ეს კარგისა და ცუდის გაურჩევლობა ყველაზე უფრო დამახასიათებელია ამ სკანდალში და მოასწავებს ნამდვილ გათახსირებას, გაკოტრებას დღევანდელ ტფილისის რუსულ პრესსისას. აქ საქმე ლევან ყიფიანისა და ნაგურსკის საქციელში კი არ არის მხოლოდ; საქმე ისაა, რომ მთელი ეს პრესსა დაბნელებულია, მისი ატმოსფერა მოშხამულია, რის უტყუარი სიმპტომებია დრო გამოშვებითი, პერიოდული სკანდალები, რომლებითაც ამ პრესსის გმირები უმასპინძლდებიან საზოგადოებას.

მაგრამ, ავალაპარაკოთ თვით ფაქტები.

თავისებური ადგილობრივი გრიუნდერი, რუსები რომ იტყვიან—дѣлецъ—სერგ. მირზოევი აარსებს „პრესსის სინდიკატს", რომელსაც მიზნად აქვს „სავაჭრო-სამრეწველო საქმეების ინტერესების დაცვა". ამ დაცვისათვის სინდიკატი შესაფერ სასყიდელს უნდა იღებდეს იმ ფირმებისაგან, რომელთა „სამრეწველო საქმეების" დაცვას იკისრებს. სხვათა შორის, განზრახულია ტრამვაის ესახელო საზოგადოების ინტერესების დაცვაც იმ მიზნით, რომ არ მოხდეს ქალაქის მიერ ტრამვაის გამოსყიდვა ბელგიელთა საზოგადოებისაგან. ამ საგმირო საქმისათვის „სინდიკატი" ათას ფრანკს იღებს ან უნდა აეღო თვეში ხსენებულ საზოგადოებისაგან. სინდიკატი აარსებს კიდეც ყოველკვირეულ გაზეთს „ეჟენედ. ობოზრ.", რომლის სულის ჩამდგმელები არიან „სინდიკატის" წევრები ჟურნალისტები ლ. ყიფიანი და ვ. ნაგურსკი.

ამ ფაქტს კომენტარიები არა სჭირია, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს გარყვნილება ახალი ხილია არა თუ ჩვენში, არამედ რუსეთშიაც. უკანასკნელ დრომდე რუსეთის პრესსა თავისუფალი იყო იმ გარყვნილებისაგან, რომელსაც პრესსის დაქრთამვა ჰქვიან და რომელიც ევროპის კაპიტალისტურმა წყობილებამ გაამეფა ევროპიულ პრესსის ერთ ნაწილში.

როგორცა ვსთქვით, ყველაზე უფრო დამახასიათებელი ამ სამარცხვინო საქმეში ისაა, რომ იმის გმირნი ავსა და კარგს ველარ არჩევენ, თავიანთი თავი დამნაშავედაც არ მიაჩნიათ. ბ-ნნი ლევან ყიფიანი და ნაგურსკი მხოლოდ „დროებით, გამოდიან „ზაკავკაზ"-ეს რედაქციიდან, რათა სიმართლე სავსებით გამოირკვას". თითქო საკმარისი არ იყოს ის დოკუმენტები და ის ფაქტები, რომლებიც უკვე გამოირკვა და გამოქვეყნდა. ბ-ნი ნაგურსკი, ერთხანს ს—დ. მოძღვრების მოწაფე, ქალაქის გამგეობის მიერ მოწვეულ კრძო კრებაზე უტიფრად აცხადებს, მე მსხვილ კაპიტალიზმის განვითარებისა, კაპიტალის კონცენტრაციის მომხრე ვარო და ამიტომ შევადგინე სინდიკატიო. როგორცა ჰხედავთ, ეს ვაჟბატონი იდეას ემსახურებოდა, აქ მოსყიდვა-კი არა ყოფილა, არამედ იდეიური მუშაობა. რასთანა გვაქვს საქმე: ნამდვილი ზნეობრივ დალტონიზმთან თუ უკიდურეს უსირცხვილო უდივრობასთან? ან კიდევ ლევან ყიფიანი,—ეს მჭერმეტყველი მქადაგებელი სიმართლისა, ზნეობისა, სინათლისა, ეს მედგარი მდევნელი ყოველ სიბნელისა და სიდუხჭირისა—ჯერ იყო და ხაჩატუროვის გაზეთის საშუალებით გვიქადაგებდა, ხოლო ეხლა ბელგიის უსახელო საზოგადოების გაზეთში სავანაროლად მოგვევლინა. ესეც „კაპიტალის კონცენტრაციის მომხრე" გამხდარა და უკვირს თურმე—ეს აურ-ზაური რისთვის ასტყდაო, განა რამე დავაშავეთო?!..

მაგრამ, კომენტარიები საჭირო არაა, გავყვეთ ისევ სკანდალის გაგრძელებას, განვითარებას.

სკანდალის გამომჟღავნება წილად ჰხვდა ბ-ნ პართენ გოთუას გაზეთს „ნოვ. რეჩს". მოქალაქობრივ მოვალეობის აღსრულებისათვის მას მადლობა ეთქმის, რასაკვირველია, მაგრამ არ შეიძლება აღუნიშნველად დაიტოვოს ერთი გარემოება, აგრეთვე დამახასიათებელი იმ პრესსისა, რომელზედაც ლაპარაკი გვაქვს. ის მასალა, რომელიც ბ-ნ გოთუას ჰქონდა ხელში, პირდაპირ და უტყუარად ეუბნებოდა, ვინ არის დამნაშავე და ვისი გაკვრაა საჭირო სამარცხვინო ბოძზე. იმ დოკუმენტებში რომ არ ყოფილიყო ნახსენები ორი გვარი დამნაშავე ჟურნალისტისა, მაშინ კიდევ შეიძლებოდა „ეჟენედ. ობოზრ."-ის ყველა თანამშრომლის გამოჭიმვა საბრალდებლო სკამზე. მაგრამ როცა მასალა პირდაპირ ასახელებდა პირებს, რაღა საჭირო იყო სრულიად უდანაშაულო პირთა გახვევა სკანდალში? ბ-ნმა პ. ა. გოთუამ მშვენიერად იცოდა, რომ, მაგალითად, ილია ნაკაშიძე, გრ. დიასამიძე, ალ. ყანჩელი და ორიოდე სხვაც ეჰვს გარეშე უნდა ყოფილიყვნენ და იყვნენ კიდეც. ისიც ესმოდა, რა მძიმე ბრალდებას ამჟღავნებდა და როგორი სიფრთხილე ჰმართებდა. მაგრამ იმ თავისებურმა ავანტიურიზმმა წასძლია, რომელიც წინადაც აღვნიშნავთ გოთუას რუსულ გაზეთების შესახებ. მას იმდენად სიმართლე არ აინტერესებს, რამდენადაც სენსაცია, სკანდალი. ოღონდ სენსაცია იყოს დიდი და თავზარდამცემი და იგი არავის და არაფერს არ მოერიდება. ასეთ სენსაციისთვის არ მოერიდა ბ-ნი გოთუა სხვის სახელსა და ღირსებას და სრულიად დაუმსახურებლად ჩრდილი მოეფინა უდანაშაულოთ. იმავე დღეს, როცა „ნოვ. რეჩ"-ში დაიბეჭდა ჟურნალისტების მოსყიდვის ამბავი, იგივე ფაქტი „მომავალმაც" გამოაქვეყნა, მაგრამ ფიქრადაც არ მოსვლია ისეთ გვარების დასახელება, რომელთაც წილი არ უდევთ სკანდალში. მხოლოდ ადგილობრივ რუსულ პრესსის დამახასიათებელია ავანტიურისტული გულის სიჩქარე, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს სერიოზულსა და პატიოსან პრესსაში...

მაგრამ განვაგრძოთ ისევ სკანდალის ამბავი.

ამ სკანდალის დაგვირგვინება წილად ჰხვდა ბ-ნ გრ. დიასამიძეს. ადამიანი, რომელიც თავის თავს წამ და უწუმ ჟურნალისტის სახელით ნათლავს და ამაყობს კიდეც ამ სახელით, თავის ღირსების დასაცველად სხვა გზას ვერა პოულობს და მუშტი-კრივითა და უშვერის გინებით სცემს პასუხს თავის მოწინააღმდეგეს. საჯაროდ, ისიც დაც გაუბედურებულსა და სახელ-გატეხილს ქართულ თეატრის შენობაში, თავს ეცემა მეორე ჟურნალისტს და სიტყვითა და მოქმედებით შეურაცყოფას აყენებს. მკითხველს თითონაც კარგად ეცოდინება, რა სახელი უნდა ეწოდოს ასეთ საქციელს, რომელიც შეურაცჰყოფს იმის ჩამდენს და არა იმის მსხვერპლს. მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელი ამ სკანდალში, როგორც ზევითაც ვთქვით, ის არის, რომ ხსენებულ ჟურნალისტებს ავისა და კარგის გარჩევის უნარი აღარა აქვთ! ჩვენ კარგად ვიცნობთ ბ-ნ დიასამიძეს და გვეგონა, რომ სკანდალის შემდეგ მას სინანული შეიპყრობდა; გვეგონა, რომ გონზე მოსვლისათანავე თავისისავე საქციელის შერცხვებოდა. მაგრამ მწარედ მოვტყუვდით: მესამე დღეს ბ-ნი გრ. დიასამიძე ისეთ დოკუმენტს ჰბეჭდავს თავის გაზეთში, რომლის მსგავსი ჩვენ ჯერ არ გვინახავს. იგი ტრაბახობს თავის საქციელით, მედიდურად აცხადებს—პ. ა. გოთუას ვცემეო და დასძენს: გოთუას არა საკადრის საქციელზე სიტყვა შემდეგ მექნებაო, „გოთუას არა საკადრის საქციელზეო", იმის მაგიერ, რომ თავისავე საქციელს გაუწიოს ანგარიში! რასა ჰგავს ესეთი შეუწყნარებელი უტიფრობა? ეს კიდევ ცოტაა, საკვირველი დოკუმენტი შემდეგის პათეტიურის შემოძახილით თავდება: როგორც რიგია, ისე უნდა გაიწმინდოს ჟურნალისტური ატმოსფერაო. დრო არისო! მოკრივე ჟურნალისტი ჰქადაგებს პრესსის ატმოსფერის გაწმენდაზე უკადრის საქციელის ჩადენის მეორე დღესვე! აღარ გვესმის,—რა ამბავია ეს...

ნუ თუ მთელი ზემოდ მოთხრობილი ამბავი არ მოწმობს ადგილობრივ რუსულ პრესსის უკიდურესობამდე დაცემას და მის მოღვაწეთა უნუგეშო დასნეულებას?!.

P. S. ეს წერილი უკვე სტამბაში მიცემული იყო, როცა ბ. გრ. დიასამიძის მეორე წერილი წავიკითხეთ. იგი, როგორცა სჩანს, უკვე ვარდება სინანულში. დარწმუნებულნი ვართ, მალე ისეთსავე თვალით შეჰხედავს თავის საქციელს, როგორითაც ჩვენ ვუყურებთ. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ეს საქმეს არ უშველის: ის ატმოსფერა, რომელშიაც მუშაობს გრ. დიასამიძე, მოწამლულია და ხვალვე შეიძლება, ბ.ბ. დიასამიძე, ნაკაშიძე და ორიოდე სხვაც უფრო უარეს ტალახში იქმნენ ჩათრეულნი...

## სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**აგრონომიული განყოფილებანი უნივერსიტეტებში.**

3 თებერვლის სხდომა იმით დაიწყო, რომ პურიშკევიჩმა ცენტრს

მიმართა და სთხოვა, დააჩქაროს ბიუჯეტის განხილვაო.

შემდეგ სათათბირომ მოისმინა 33 დეპუტატის საკანონმდებლო წინადადება იმის შესახებ, რომ ხარკოვის, ყაზანის, კიევის და ოდესის უნივერსიტეტების ფიზიკო-მათემატიკის ფაკულტეტებთან დაარსდეს აგრონომიული განყოფილებანი. სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგმა სასურველად სცნო ასეთი განყოფილებანი, მაგრამ განაცხადა, რომ ძვირად დაჯდებაო. ამასთან კიევში არც საჭიროა საიგრონომო განყოფილება, რადგან ასეთი განყოფილება უკვე არსებობს პოლიტეხნიკუმთანაო. მინისტრის ამხანაგის სიტყვით, მთავრობა შეიმუშავებს და სათათბიროს შემოდგომის სესსიას წარუდგენს კანონ-პროექტს საიგრონომიო განყოფილებების დაარსების შესახებ მხოლოდ ყაზანისა და ოდესის უნივერსიტეტებში. სათათბირომ არ შეიწყნარა აზრი სამინისტროსი და დაადგინა, 33 დეპუტატის წინადადება გადასცეს სახალხო განათლების და სასოფლო-სამეურნეო კომისიებს და დაავალოს მათ შესაფერ კანონ-პროექტის შემუშავება.

**ადგილობრივი სასამართლო**

ამის შემდეგ სათათბირომ განაგრძო განხილვა კანონ-პროექტისა ადგილობრივ სასამართლოს შესახებ. მიიღეს რამდენიმე მუხლი კომისიის რედაქციით. სხვათა შორის, ერთი მუხლის განხილვის დროს ს.-დემოკრატებმა წინადადება შეიტანეს, შემუშავდეს ახალი კანონი სოფლის მუშების დაქირავების შესახებ. ახალ კანონით ნება დართულ უნდა იქნას სოფლის მუშების კოალიციისა და გაფიცვის უფლება. აგრეთვე სოფლის წარმოებაზედაც უნდა გავრცელდეს საქარხნო ინსპექციის მოქმედება. სათათბირომ უარ-ჰყო წინადადება.

**შეკითხვები**

სალამოს სხდომაზე სათათბირომ მოისმინა 49 დეპუტატის შეკითხვა. იგი შეეხებოდა ამურის ოლქის სამხედრო-გუბერნატორის უკანონო მოქმედებას. ამ გუბერნატორს 29 იანვარს განკარგულება მოუხდენია, რომ ხორბლის ვაჭრებს აეკრძალოთ მთელ ოლქში მემამულეთაგან ხორბლის ყიდვა, თუ საინტენდანტოსაგან არ წარადგენენ იმის მოწმობას, რომ მათ საინტენდანტოს წინაშე პირნათლად შეუსრულებიათ პირობები. სათათბირომ სასწრაფოდ სცნო ეს შეკითხვა. წინააღმდეგი იყო მარტო ტიმოშკინი. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ამ შეკითხვის გამო განაცხადა: ცნობა გუბერნატორის განკარგულების შესახებ 30 იანვარს მივიღეთ. დაუყოვნებლივ შევეკითხეთ პრიამურის გენ.-გუბერნატორს, რომელმაც 2 თებერვალს გვაცნობა, რომ ამურის გუბერნატორის განკარგულება, როგორც უკანონო, უკვე გაუქმებულ იქნაო. სათათბირომ მიიღო შემდეგი ფორმულა: სათათბირო, სცნობს რა დამაკმაყოფილებლად მთავრობის განმარტებას, გადადის მორიგ საქმეებზე.

ამის შემდეგ სათათბირომ განაგრძო განხილვა ოპოლის კათოლიკეთა ეკლესიის შესახებ. თითქმის ერთ საათს ილაპარაკა ეპისკოპოსმა ევლოგიმ. მან, როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი ბრალი თითონ პოლონელებს დასდო, რომელთაც ეკლესია ძალით ჩამოართვეს. პოლონელები სტანჯვენ რუსებსაო. ისიც უსაყვედურა პოლონელებს, ასეთი შეკითხვები რად შემოგაქვთ რუსის სათათბიროშიო...

ილაპარაკეს კიდევ იარონსკიმ და პოვლოვიჩმა. მათ მხარი დაუჭირეს შეკითხვას.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

4 თებერვალი.

**საზღვარ გარედ.**

**ლონდონი.** დაიწყო პარლამენტის სხდომები. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ლოუტერი. ხვალ, 5 თებერვალს, მეფე დაამტკიცებს ლოუტერს, რასაც დეპუტატთა პალატას იმ დღესვე შეატყობინებენ. დეპუტატები თითქმის მთელ ერთ კვირას დაფიცებას მოუნდებიან. მეფე სეფე სიტყვას 8 თებერვალზედ ადრე ვერ წაიკითხავს.

**პარიზი.** საზღვაო მინისტრს სენეგამბიიდან ატყობინებენ: აბეშე ახლო (საფრანგეთის კონგო) საფრანგეთის რაზმს ჩაუსაფრდა მასსალის სულთანი. საფრანგეთის რაზმს დიდი ზარალი მოუვიდაო.

**ბერლინი.** რამდენიმე ასმა კაცმა საპროტესტო მიტინგი გამართა მთავრობის საარჩევნო. უფლების რეფორმის შესახებ კანონ-პროექტის წინააღმდეგ. მიტინგის შემდეგ ხალხი კანცლერის სასახლესაკენ გაემგზავრა. პოლიციამ დემონსტრატები გაფანტა.

**რომი.** დეპუტატთა პალატა. დეპუტატი გალლი შეეკითხა მთავრობას კუნძულ კრიტის შესახებ. პასუხი გასცა გარეშე საქმეთა მინისტრმა. მან სთქვა: მფარველ სახელმწიფოების ნოტამ გასჭრა. საბერძნეთის მთავრობამ მფარველ-სახელმწიფოებს და ოსმალეთს შეატყობინა, ეროვნულ კრების მიზანია მოაწესრიგოს საბერძნეთის შინაური საქმეები, სხვა არაფერიო. ამ განმარტების შემდეგ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა საშიში აღარ არის. იტალია მფარველ-სახელმწიფოებთან თანხმობით მოქმედებდა. გერმანია და ავსტრია თუმცა მონაწილეობას არ იღებდნენ მფარველ-სახელმწიფოების ნოტის შედგენაში, მაგრამ თანაუგრძნობდენ მფარველ-სახელმწიფოების მოქმედებას. საერთაშორისო მთლიანობის დაცვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ახლო აღმოსავლეთის ეხლანდელ მდგომარეობას ხელუხლებლად დავტოვებთ. ჩვენ მოვალენი ვართ ხელი შეუწყოთ ამასო. დასასრულ გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, მე მრწამს, რომ იტალია თავის მოქმედებით ხელს უწყობს მშვიდობიანობის დაცვას და ცივილიზაციის გავრცელებასო.

**გრიმსტაფი** (ნორვეგია). გერნესის ახლო დაიღუპა დანიის გემი „კამსოჯა". გადაარჩინეს 13 კაცი. ნავი 16 კაცით უკვალოდ დაიკარგა.

**ბერლინი.** ნეიმიუნსტერში ხალხმა ორი საპროტესტო კრება გამართა ახალ საარჩევნო კანონის წინააღმდეგ. კრებების გათავების შემდეგ დემონსტრანტები ქალაქის საბჭოს სადგომისაკენ გაემგზავრნენ და მოედანი დაიჭირეს. დემონსტრანტებს და პოლიციას შეტაკება მოუვიდათ. დემონსტრანტებმა ქვები ესროლეს პოლიციელებს. პოლიციელებმა იარაღი იხმარეს. რაკი პოლიციამ ვერა გააწყო რა, ჯარი დაიბარეს, რომელმაც დემონსტრანტები გაფანტა. დაჭრილია რამდენიმე დემონსტრანტი და პოლიციელი.

**ათინა.** სამხედრო ლიგის ორგანო „ქრონოსი" სწერს: საბერძნეთის ეროვნული კრება მხოლოდ შინაურ რეფორმებს მოახდენს, იგი გარეშე პოლიტიკას არ შეეხება. ყოველივე საფუძველს მოკლებულია უცხოეთის გაზეთების მიერ გავრცელებული ცნობა, ვითომ ეროვნული კრება მეფის უფლებებს შეზღუდავდეს და თუ საქმე გაჭირდა მეფესაც გადააყენებდესო.

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიუროს" სალონიკიდან დეპეშით ატყობინებენ: სერესში სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ბოლგართა რაზმის უფროსს, დინკას. ჩამოახრჩეს 12 ბოლგარელი. 5 ბოლგარელი მცირე აზიაში გადაასახლეს. მათ უვადო კატორგა აქვთ გადაწყვეტილი.

**რუსეთი**

**კიევი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია გაზეთ „კიევლიანინი"-ს თანამშრომლის სავენკოს საქმე. სავენკოს უჩიოდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ლუჩიცკი, გაზეთში ცილი დამწამა, უკრაინოფილების კრებაში (ლვოვი), მონაწილეობას იღებდაო. სავენკომ სასამართლოში განაცხადა, შეცდომაში შემიყვანესო. სასამართლომ სავენკო გაამართლა.

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით, ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს დაევალა 16 თებერვალს გახსნას ფინლიანდიის სეიმი.

**ხარკოვი.** გამოძიებამ დაამტკიცა, რომ სუმის ერობის გამგეობის წევრებს სხვა და სხვა ბოროტმოქმედება ჩაუდენიათ. სამართალში აძლევენ გამგეობის ყველა წინანდელ წევრებს.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორებს და გრადონაჩალნიკებს ცირკულიარი დაუგზავნა. ცირკულიარში ნათქვამია: როდესაც ქალაქებს სესხის აღება უნდათ ქალაქის რაიმე საჭიროებისთვის, ყველაფერი რუსეთის მრეწველებს უნდა შეუკვეთონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ნუ მისცემთ ნებას, რომ სესხი აიღონო. საზღვარგარედ რაიმეს შეკვეთა მხოლოდ შინაგან საქმეთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრების ნებართვით შეიძლებაო.

**ნოვოჩერკასკი.** აღმოაჩინეს ყალბი ფულების მკეთებლების ორგანიზაცია. სადგურ მილლეროვოზედ დააპატიმრეს ლუდხანის პატრონი, რომელსაც 100 მანეთი ყალბი ფული უპოვეს.

**ოდესსა.** სასამართლო პალატამ გაარჩია 23 ინგუშ-დარაჯის საქმე. ბრალდებოდათ ტროსტიანეცკოს ქარხანაში მუშებთან შეტაკების დროს სამი კაცის მოკვლა და 9 კაცის დაჭრა, რისთვისაც ოლქის სასამართლომ ორ-ორი თვით დაპატიმრება მიუსაჯა. პალატამ ყველანი გაამართლა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიამ 1910 წლის შემოსავალი იანგარიშა 2,578,927,362 მანეთი. გასავალი ამდენივე იქნება. ფინანსთა მინისტრის გამოანგარიშებით კი მთავრობას შემოსავალ-გასავლის გასასწორებლად 84 მილიონი მანეთი უნდა ესესხნა. კომისიამ შემოსავალი გაადიდა 302.109,840 მანეთით. ამას გარდა კომისიამ სხვა და სხვა ხარჯები შეამცირა.

# ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **წ.-კ. საზოგადოების განყოფილება გორში.** გორიდან გვწერენ: 31 იანვარს გორში მოხდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა კრება. წევრად ჩაწერილია ორმოცდა ათამდე კაცი, მხოლოდ კრებას დაესწრო ოცდა ათი. ერთხმად გადასწყვიტეს: სთხოვონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ გახსნას მან გორში ადგილობრივი განყოფილება, რომლის მახლობელ საგნად იქნება დაარსება სახალხო სკოლების, სამკითხველოების, წიგნთ-საცავებისა და სხ. ქალაქ გორში და გორის მაზრაში. ამავე კრებაზე წევრებმა აირჩიეს განყოფილების გამგეობა. გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ნ. ა. თუმანიშვილი, წევრებად: ნ. ი. ლომაური, თ. პ. რაზიკაშვილი, კ. მ. ელიოზიშვილი, ა. ა. კასრაძე, პ. ქ. ჯაფარიძე და ი. დ. კვალიაშვილი. ამათ კანდიდატებად: დეკ. ი. კაპანაძე, ს. პ. გოგლიჩიძე და გ. ბეროზაშვილი. ამავე გამგეობას დაევალა აირჩიოს თავისთა შორის ამხანაგი თავმჯდომარისა და მდივანი გამგეობისა. მაშინათვე დაიწერა ოქმი ამ კრებისა და დამსწრე ოცდა ათმა კაცმა მოაწერა ხელი. ამ დიდად სიმპატიურ საქმეს გორის ქართველთა საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგება და მრავალმა განაცხადა სურვილი წევრად ჩაწერისა.

✦ **რუსული სამეურნეო ჟურნალი.** კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას საბჭომ მიმდინარე ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს 2700 მან. გადასდო საზოგადოების ყოველ ორკვირეულ ჟურნალის „სელსკოე ხოზიაისტვოს" გამოსაცემად. ამ ჟურნალს ნაკლები მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისთვის, რადგან ამიერ კავკასიის მეურნეთა დიდ უმრავლესობას არ ესმის რუსული ენა. რა თქმა უნდა, ხალხისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ გამოცემებს, როგორიც არის „მოსავალი", „გიუხატნესი" და სხვ. უმჯობესი იქნება ეს ფული ამ გამოცემებს მოხმარდეს.

✦ **შენობა გიმნაზისთვის.** ტფ. ვაჟთა მესამე გიმნაზიის მთავრობა კარგა ხანია სცდილობს სოლოლაკში საკუთარ შენობის აგებას. სხვათა შორის, გიმნაზიის დირექტორმა სთხოვა ტფ. ქალაქის თვით მმართველობას დახმარება გაუწიოს ფულის გადადებით ან ადგილის დათმობით. ქალაქის თავის მოადგილემ გუშინ მისწერა გიმნაზიის მთავრობას, ბოლო 5 წლის ამბებმა ისე შეარყიეს ქალაქის თვითმართველობის ფინანსები, რომ შეძლება აღარა აქვს დახმარება გაუწიოთ მაგ კეთილ საქმესაო.

✦ **დაწესებულებების დათვალიერება.** ტფ. ქალაქის გამგეობის წევრებმა 3 თებერვალს ჩვეულებრივ დაათვალიერეს ქალაქის წყლის მილის სახელოსნო, განათების სააგენტო, მადათოვის კუნძულზე ქალაქის სხვა და სხვა იარაღის საწყობი და შუა-ბაზარში სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტის კანტორა. სხვა-

# ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი

ბედნიერება.

12 *)

თვით ის „ეთიური ზედნაშენი" უტილიტარულ ფილოსოფიისა, რომელიც ამ სუსტს, ნაკლულევანებიანს ფსიხოლოგიურს საძირკველზე სდგას, კიდევ უფრო უცნაური და დაუსაბუთებელია. „სოციალური უტილიტარიზმი ანუ ევდემონიზმი" უწოდა ჯონ სტუარტ მილლმა იერემია ბენტამის და ჯემს მილლის მორალს, რომელიც არსებითად მისს საკუთრებასაც შეადგენს და ამ სახელწოდებით უკვე გამოაშკარავა ერთი საეჭვო და სუსტი მხარე ამ შენობისა: ლოგიკურად მტკიცე და უკან დაუხევი „ევდემონიზმი ანუ უტილიტარიზმი" არ შეიძლება სოციალური იყოს. თუ უდიდესი ზნეობრივი სიკეთე ბედნიერებაა, ხოლო ყოველ ზნეობრივ მოქმედების საზომი მის მიერ მოტანილი სარგებლობის რაოდენობა, ცხადია, სავალდებულოდ ჰხდება ის გზა, რომელიც ყველაზე მეტად ჩქარა მიიყვანს რაც შეიძლება ინტენსიურს ბედნიერებასა და სიამოვნებასთან. ეს გზა კი აუცილებლად ინდივიდუალისტურია: ყველაზე ინტენსიურად, მრავალმხრივად, უშუამავლოდ ადამიანი თავის საკუთარს ბედნიერებას ჰგრძნობს, ყველაზე ძლიერად და გულწრფელად ის თავის საკუთარ სიამოვნებით სტკბება. თუ ადამიანობის უზენაეს ლტოლვის მიზანი რაც შეიძლება მეტის ბედნიერების მოპოვებაა, მას უჯობს მხოლოდ ინდივიდუალურს ბედ-იღბალზე იზრუნოს, იმიტომ რომ ბედნიერება და სიამოვნება სუბიექტური განცდაა, ობიექტურს არსებობას და ღირებულებას კი ის სავსებით მოკლებულია.

ბედნიერება უწინარეს ყოვლისა ჩემი ბედნიერებაა. გარეშე მგრძნობიარე „მეობისა" ის არსად არსებობს. „სხვის" ბედნიერებას მხოლოდ მაშინ აქვს ჩემთვის რეალური ფასი, როცა ის „ჩემს" შეგნებაში ისახება, როცა ის „ჩემს" ბედნიერებადაც ჰხდება. არ შეიძლება ბედნიერების ძიებაში ადამიანი თავის ინდივიდუალურ საზღვრებიდან გამოვიდეს: არ შეიძლება მან სხვის კმაყოფილებას უპირატესობა მიანიჭოს, თუ ის მართლაც რაც შეიძლება მეტის, რაც შეიძლება ძლიერის სიამოვნების მოპოებას სცდილობს. თუ კი ის თავის თანაარსთა ბედნიერებას მაინც უფრო მაღლა აყენებს, მიუხედავად მისი ნაკლებ სიძლიერისა და ინტენსივობისა, თუ ის მილლთან ერთად „სოციალურ უტილიტარიზმზე ანუ ევდემონიზმზე" ლაპარაკობს, ცხადია, ის თავისდაუნებურად სხვა ზნეობრივს საზომს აღიარებს, ცხადია, ის ნამდვილი ევდემონისტი აღარაა. ყოველი ევდემონისტი ინდივიდუალისტი და ეგოისტი უნდა იყოს, თუ მას არა სურს უღალატოს თავისსავე ძირითადს შეხედულებას. მან მაქს შტირნერივით უშიშრად და პირდაპირ უნდა აღიაროს, რომ მისი ბედნიერება სწორედ მისი ბედნიერება, სხვა კი ამ ქვეყანაზე მას არა რა ეხება. მისთვის სხვისი კეთილდღეობა უნდა არსებობდეს მხოლოდ როგორც სარჩული, როგორც საშუალება თავისსავე კეთილდღეობის გასაძლიერებლად. ეგოისტური ევდემონიზმი ანუ უტილიტარიზმი! აი ლოგიკურად სამართლიანი მსოფლიო მხედველობა; მას სმენისთვის ის მუსიკალური მიმზიდველობა აღარა აქვს, რასაკვირველია, როგორც ბენტამის და მილლის „სოციალურს ევდემონიზმს ანუ უტილიტარიზმს", მაგრამ სამაგიეროდ არც იმ შინაგან წინააღმდეგობით არის გამსჭვალული.

აუხსნელს საიდუმლოებად რჩება კიდევ ერთი მხარე ამ მორალისა. თუ თავისს საკუთარ სიამოვნებისა და კეთილდღეობისთვის ზრუნვა ეთიურად სავალდებულოდ არ შეიძლება ჩაითვალოს, თუ მას არავითარი ზნეობრივი ფასი არა აქვს, რა ჯადოსნური ძალა ანიჭებს სხვის სიამოვნებისა და კეთილდღეობისთვის ზრუნვას და მოქმედებას აბსოლუტურ სიკეთის მნიშვნელობას, რა ჰხდის მას უზენაესს ციურ ვალდებულებად? განა „სხვა" ისეთივე პიროვნება არ არის როგორც „მე"? განა თვით უდიდესი „საზოგადოება" სუბიექტიურ გრძნობის და განცდის თვალთსაზრისისთვის ასეთ „მე"-ბისაგან არ შესდგება? როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ „არარაობათა უბრალო შეერთება ჯამში რამეობა ან, მით უმეტეს, უდიდეს ეთიურს ღირებულებას მოგვცემს? ან კიდევ: რომელს ზნეობრივს ვალდებულებას შეუძლიან მოითხოვოს თავისთავის უარყოფა, თავგანწირულება სხვის კმაყოფილების, სხვის სიტკბოების, სხვის „სულიერ ნეტარების" სახელით? რითი მტკიცდება სხვისი ევდემონისტური უფლება ჩემს ნიჭზე, ჩემს შრომაზე, ჩემს ცხოვრებაზე? განა მე ვალდებული ვარ ვიტანჯო, ვიბრძოლო, ვიშრომო, ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილებები შევივიწროვო, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებმა ამით „ისარგებლონ", „ისიამოვნონ", „ილაღონ?" იმ ხშირად ჩემთვის უცნობმა სხვებმა, რომელნიც შეიძლება მხოლოდ ჩემს შემდეგ დაიბადებიან, რომელნიც ზნეობრივად, გონებრივად და ფიზიკურად სრულიადაც ჩემზე მაღლა არ იდგმებიან! რა ღრმა, რა უძირო ფილისტერობით არის გამსჭვალული მთელი ეს ევდემონისტური და უტილიტარული სიბრძნე!..

ბედნიერების მორალის სახელით თავგანწირულების და გმირობის მოთხოვნა არ შეიძლება, არც მისი გამართლება მოხერხდება ეთიურად. მაგრამ ეს კიდევ არ არის უსუსტესი მხარე ევდემონიზმისა. მისი უსუსტესი მხარე ის არის, რომ ცხოვრების იდეალი, რომელიც მას წამოუყენებია, არსებითად იდეალი კი არა, უბრალო ბიოლოგიური ფაქტია. ყოველი შეგნებული ქმნილება ბედნიერებას და სიამოვნებას პოზიტიურ მოვლენადა სთვლის უბედურებასა და უსიამოვნებასთან შედარებით: ის ჩვეულებრივ ელტვის პირველთ და გაურბის მეორეთ, თუმცა ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა განვითარებული არსება რაიმე უმაღლეს მოსაზრებით ტანჯვასა და სიკვდილს არჩევს, ვიდრე ბედნიერებას და შეუშფოთებელს ცხოვრებას. მაგრამ სიამოვნების სალტოლველ მოვლენად მიმჩნევა მაინც საყოველთაო ბიოლოგიურს ფაქტად რჩება, განსაკუთრებით წუთიერებით განსაზღვრულ ცნობიერებისთვის. და მერმე რა? განა ეს უბრალო ბიოლოგიური ლტოლვა, რომელიც ადამიანს პირუტყვთან აერთებს, რომელიც ყოველს ეთიურს კულტურას წინ უძღვის, შეიძლება სავალდებულოდ გარდაიქცეს, ზნეობრივ იდეალის სახელით მოინათლოს? განა ბედნიერი, უზრუნველყოფილი არსებობა ზნეობრივად უფრო მაღლა სდგას, ვიდრე უბედური, ზრუნვით აღსავსე? განა სიამოვნების გრძნობა უკვე თავის თავად აკეთილშობილებს ადამიანს? არა და ათასჯერ არა. პირიქით, მუდმივი ბედნიერება სულიერად აჩლუნგებს და აღარიბებს ადამიანს: უწინარეს ყოვლისა ის თავისავე ბედნიერებას ვეღარა ჰგრძნობს სათანადო სიძლიერით; შემდეგ მას არ ესმის სხვისი ტანჯვა, სხვისი უბედურება; ის უგრძნობი და გულ-ქვა ხდება სხვისვარამის, სხვის მწუხარებისადმი. ბედნიერნი და ცხოვრებით კმაყოფილნი ყოველთვის უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენენ ზნეობრივ განახლების, ზნეობრივ წინსვლისათვის, ჰქმნიან იმ „მაძღარს სათნოებას", რომელიც შეიძლება მართლაც ყოველს დანაშაულზე უსაზიზღრესია. დასასრულ, მათ მოსდევს ის შეუდარებელი ოპტიმიზმი, რომლის მიხედვით ეს ქვეყანა საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს ყოველს შესაძლებელს ქვეყანათა შორის, ხოლო ყოველი ცდა მის შესაცვლელად უდიდეს შეცოდებად უზენაესის წინაშე.

ყოველი დიდი და მშვენიერი უბედურების და უკმაყოფილების ნიადაგზე აღმოცენებულა და თუ ჩვენ როდისმე მართლაც მივაღწევთ იმ ბჭეებს, რომელთაც საყოველთაო და დაუსრულებელ ნეტარების სამეფოში შეჰყავს, ჩვენი უდიდესი ზნეობრივი ვალდებულება იქმნება სამუდამოდ ამოვყაროთ მისი შესავალი. სჯობს ადამიანობამ არ დაინახოს ის, რაც გაალატაკებს და მოსპობს მის ადამიანობას.

ბედნიერება ძვირფასი და გასამართლებელი არის არა როგორც საბოლოოდ და შეურყეველი მდგომარეობა, არა როგორც უდიდესი ზნეობრივი იდეალი, არამედ როგორც შინაგანი ეფექტი, მუდმივ შეუჩერებელი ცხოვრების განვითარებისა, როგორც ხშირი შედეგი ზნეობრივ სისრულის და შემოქმედებისა. ერთი პოლონელი მგოსანი სადღაც კარგად ამბობს: ნუ ეძებთ ბედნიერებას,—ის თვით მოვა. მშიშარა ფრინველი: ადვილია მისი დაფრთხობა! იმ წუთებში, როცა თქვენ შრომით დაქანცულნი თავს დავიწყებას მისცემთ, ის თქვენს ხეზეც შემოჯდება...

**კატეგორიობის ტრაგედია.**

13.

თუ დანტემ თავის უკვდავს პოემას „ღვთაებრივი კომედია" უწოდა, იმიტომ რომ ის „სამწუხაროდ იწყება და მხიარულად თავდება", ჩვენ ჩვენს ისტორიულს ბედს შეგვიძლიან „ადამიანური ტრაგედია" ვუწოდოთ, რადგან ის შეიძლება ბევრად უფრო „მხიარულად იწყება", ვიდრე შემდეგ მიმდინარეობს. ბედნიერება მარტო გარეგნულს კეთილდღეობაზე არ არის დამოკიდებული და ამ გარეგნულს კეთილდღეობას მოკლებული პირველყოფილი არსებობა ისე უბედური არ არის, როგორც ჩვენ შეიძლება გვეჩვენოს. პირიქით: ისეთი ღრმა მცოდნენი პრიმიტიულ კულტურისა, როგორიც მაგ. ჰ. სპენსერი და კ. ბიუ-

*) იხ. „დროება" N 25.

თა შორის, გამგეობამ ყურადღება მიაქცია სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის მოხელეებს. მათ არავითარი ნიშნები არა აქვთ და მაშასადამე, ხალხი ვერ იცნობს, რომ საჭიროების დროს მიმართოს ხოლმე. გამგეობამ დაავალა აგენტებს, სამსახურის ასრულების დროს უსათუოდ ჯაჭვები ატარონ. შუა ბაზარში დაათვალიერეს აგრეთვე კერძო დუქნები, სასმელ-საჭმელის სავაჭროები და სხვა. ყურადღება მიაქციეს აღნიშნულ დაწესებულებებში ნაკლულევანებებს და წინადადება მისცეს პატრონებს, სისუფთავე დაიცვან და სალი სანოვაგე მიაწოდონ მუშტარს.

✦ **სამეურნეო საზოგადოება.** 3 თებერვალს მოხდა სხდომა კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი. საბჭომ დაამთავრა შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განხილვა. სულ სამეურნეო საზოგადოება შემოსავალს მოელის 44,000 მან. ხარჯიც ამდენივეა. სხვათა შორის, საბჭომ განიხილა მოხსენება იმის შესახებ, რომ სამეურნეო საზოგადოებამ მიიღოს თუ არა მონაწილეობა 1911 წელს ტფილისში განზრახულ სრულიად რუსეთის ბუნების მეტყველთა და ექიმთა კრებაში და რა ფორმაში უნდა გამოიხატოს ეს მონაწილეობა. საბჭომ საჭიროდ დაინახა მონაწილეობის მიღება და დაადგინა, აირჩიოს განსაკუთრებული კომიტეტი და მას დაევალოს, შემუშავება საკითხებისა და მასალის დამზადება. ეს კომიტეტი თავის წარმომადგენლებს იყოლიებს კრების გამმართველ საერთო ბიუროში. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ამავე სხდომაზე დაასახელა კანდიდატები სამეურნეო საკითხებისა და მოხსენებების შემმუშავებელ კომიტეტში. მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს 800 მან. გადაუდვია მეურნეთა კრების ნაშრომის გამოსაცემად. საბჭოს სხდომაზე თათბირი აღიძრა იმის შესახებ, რომ დაუცადონ ფულის მიღებას, თუ ეხლავე შეუდგნენ ბეჭვდას მასალისას. რადგან გამოირკვა, რომ ბევრი მოხსენებაა, მეურნეთა კრების მიერ მიღებული, დროებით ხასიათისაა და, მაშასადამე, მათი დაბეჭვდა დასაჩქარებელია, საბჭომ დაადგინა, აირჩიოს განსაკუთრებული კამისია და იმას დაავალოს მასალის გადათვალიერება და გამოცემის დაწყება.

✦ **ხორცის ნიხრი.** ტფ. ქალაქის გამგეობამ გუშინ გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა საბჭოს მიერ დანიშნული ნიხრი ხორცისა. საბჭომ ძროხის ხორცზე დანიშნა—13 კაპ., ცხვრის ხორცზე—14 კაპ.. ხოლო ღორის გატყავებულ ხორცზე—15 კაპ. და ტყავიანზე—14 კაპ.

✦ **მარიამ დემურიას გარდაცვალების გამო.** მოვიდა სამგლოვიარო დეპეშები: პეტერბურგიდან—ქართველ სტუდენტთა სათვისტომოსაგან და ხარკოვიდან—ქართველ სტუდენტებისავე სათვისტომოსაგან.

✦ **სერგეი მირზოევი.** ტფ. ქალაქის თავის მოადგილემ გუშინ აცნობა ხმოსნად ნამყოფ ს. ზ. მირზოევს, რომ საბჭომ მიიღო მისი განცხადება სამსახურიდან გადადგომის შესახებ. ამასთან გამგეობამ შეეკითხა ს. მირზოევს, აცნობოს, როდის წარუდგენს გამგეობას საბჭოს წინაშე გასამართლებელ მოხსენებასა. გამგეობამ მოითხოვა მირზოევისაგან ის საბუთის ქაღალდები, რომლის ძალითაც „პრესის სინდიკატს“ 1000 ფრანკი დაენიშნა ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან.

✦ **გადასაჯდომი ბილეთები.** უკვე ვწერდით, რომ ტრამვაის დირექციამ ბრძანება გასცა, გადასაჯდომ ბილეთებს სამი საათის განმავლობაში აქვს მნიშვნელობა. ქალაქის გამგეობამ უკვე გაუგზავნა ქაღალდი დირექციას. ქალაქთან დადებულ ხელშეკრულების მე-38 პარაგრაფის ძალით, გადასაჯდომ ბილეთებს მთელი დღის განმავლობაში აქვს ძალა.

✦ **ადგილი.** ნიჟეგოროდის პოლკს აღებული აქვს ქალაქის ადგილი ნავთლუღში, ზომით 4953 ოთხკ საჟენი. საინჟინერო სამმართველო კარგა ხანია სცდილობს, ხაზინის საკუთრებად შეიძინოს ეს ადგილი. სამმართველომ კიდეც წარუდგინა მოხსენება ქალაქის გამგეობას და საჟენ. მიწაში 1 მან. 75 კაპ. შეაძლია. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ეს წინადადება და დაადგინა, წარუდგინოს საბჭოს მოხსენება ამ საკითხის შესახებ და აცნობოს, რომ აღნიშნულ ადგილში საჟენი ღირს 10 მან. და ნაკლებად არ უნდა დაეთმოს სამმართველოსაო.

✦ ზინგერის კომპანიამ საჩივარი აღძრა საკერავ მანქანებით მოვაჭრე კონსტანტინე გედევანოვის წინააღმდეგ. გედევანოვი სარგებლობდა ისეთს სავაჭრო ნიშნით, როგორიც აქვს კომპანია ზინგერს და რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო სამინისტროს დეპარტამენტის მიერ. გამომძიებამ დაამტკიცა შემცვლება სავაჭრო ნიშნებისა და გამომძიებლის განკარგულებით გედევანოვის მაღაზიიდან წაიღეს სავაჭრო განცხადება, სადაც დახატული იყო ზინგერის ფირმის მინაგვარი სავაჭრო ნიშანი. ამ დღეებში ეს საქმე გაირჩა ტფილისის ოლქის სასამართლოში. სასამართლომ დამნაშავედ იცნო გედევანოვი და მიუსაჯა სამი კვირით დაპატიმრება. ამას გარდა, სასამართლომ დაადგინა, გადახდეს გედევანოვს 2500 მანეთი ზინგერის სასარგებლოდ.

✦ 3 თებერვალს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: სენაკის მცხოვრების იონა ბოკერიასთვის, ავჭალის ქუჩაზე მობინადრეს, ძილის დროს ამოუცლიათ ჯიბიდან 21 მან. 45 კაპ. ეჭვით დააპატიმრეს პოლიექტო თოფურიძე. 3 თებერვალს პრიუტის ქუჩაზე რაჭის მაზრის სოფელ წესის მცხოვრებმა დანიელ სოხაძემ საწამლავი დალია. სოხაძე საავადმყოფოში გარდაიცვალა. სოხაძეს აღმოაჩნდა წერილი; „ნურავის ჩემს მოკვლაში ბრალი ნუ დასდებთო“. იმავე დღეს დიდუბის ქუჩაზე მცხოვრები ეგორ შაპკოვი ვერის ბორანით გადადიოდა. ბორანის ხიდზე შაპკოვისთვის ივანე გურუვას რკინის კეტი დაურტყამს და მტკვარში გადაუგდია. შემდეგ ნაპირიდან გურუვას თავის ამხანაგების დახმარებით ქვები დაუშენია. შაპკოვს მებორნე ჩაშველებია და გადაურჩენია. გურუვა ამხანაგებით პავლე კარეტოვს და მიხეილ ფილიპოვით დააპატიმრეს.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ „დღიურის“ ბოლოში დაბეჭდილია: „მობრძანდით, ბატონებო“. უნდა იყოს: „მიბრძანდით, ბატონებო“.

# მოწერილი ამბები

**გორი.** იანვარში ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში, წვრილი კრედიტის ინსპექტორის ბ-ნ დავიდოვის თავმჯდომარეობით, მოხდა ვაჭარ-ხელოსანთა კრება. ბ-ნი დავიდოვი ტფილისიდან მოეწვიათ წვრილი კრედიტის ამხანაგობის შესახებ მოსალაპარაკებლად. სანამ კრებას გახსნიდა, ბ-მა დავიდოვმა სთქვა: როგორც ვხედავ, უმჯობესი იქნება ნალაპარაკევის ქართულ ენაზე გადათარგმნა. რადგან მე ქართული ხეირიანად არ ვიცი, ვთხოვ თარჯიმნობა იკისროს ვინმემაო. თარჯიმანობა მ. ახალბედაშვილმა იკისრა და კრება გაიხსნა. დავიდოვმა დაახლოვებით შემდეგი სთქვა: თქვენი თხოვნა მიიღო ბანკმა, რომელშიაც თქვენ წვრილი კრედიტის ამხანაგობის დაარსების სურვილს აცხადებთ და სთხოვთ სესხს. ბანკი დიდის სიამოვნებით ეგებება თქვენ კეთილ განზრახვას. დღეს-დღეობით, ვგონებ, აღარავისთვის აღარ არის საეჭვო შემნახველ-გამსესხებელ კასების, მწარმოებელ-მომხმარებელ საზოგადოებათა და სხვათა სარგებლობა. მე მსურს მოგელაპარაკოთ წვრილი კრედიტის ამხანაგობაზე, იმის მნიშვნელობა-სარგებლობაზე ჩვენ დაბეჩავებულ ხალხისთვის. სოფელი და ქალაქის ღარიბი ნაწილი ჩარჩების ხელშია. დღეს თქვენ რომ მასალისთვის ან სხვა რამისთვის ფული დაგჭირდეთ, ჩარჩთან მირბიხართ, ან კი სად წავალთ? ფული არ გაბადიათ, ფული კი საჭიროა და ამ რიგად ისევ სისხლის მწოველ ჩარჩს უნდა მიადგეთ კარზე. ისიც, რასაკვირველია, თავის სასარგებლოდ იქცევა. ერთი ორად, ერთი სამად გადებთ სარგებელს. ებმებით ობობას ქსელში. გამოცდილებით კარგად გეცოდინებათ, რა ძნელია ჩარჩის ქსელიდან თავის დახწევა. მე თვითონ ვიცი, რომ სოფლებში გლეხები თუმანზე ორ მანეთს იხდიან სარგებელს. ეს გლეხები სულ მოკლე ხანში იძულებულნი გახდებიან თავინ-სარგებელში ჩარჩს მიუგდონ მთელი თავიანთი სარჩო-საბადებელი და ღვთის ანაბარა დარჩნენ. ჩარჩის საშინელ ბრჭყალებიდან რა იხსნის ხელმოკლე ხალხს? მხოლოდ და მხოლოდ წვრილი კრედიტის ამხანაგობა, რომლის დაარსებაც დღეს თქვენ განგიძრახავთ. თქვენი განძრახვა ფრიად კეთილია. ეს ამხანაგობა იქნება თქვენი საკუთარი ბანკი, რომელიც სამსახურს გაგიწევთ, მოგცემთ სესხს შეღავათიან პირობებში და საჭირო დროს (ხშირად სხვა ბანკებიდან რომ გსურდეთ სესხის აღება, კარგა ხანს ვერ მოახერხებთ, თუ შიგ „ნათლიმამა“ არა გყავთ, ან და „ჩინოსანი“ არა ხართ). ეს ამხანაგობა ეკონომიურად წელში გამმართავთ და, თუ მოისურვებს, თქვენ გონებით განვითარებასაც ხელს შეუწყობს. თქვენ ამხანაგობის დასაარსებლად სესხად თხოულობთ 8000 მანეთს. მე არ ვიცი, ბანკი დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას თუ არა, ეს კი უნდა გითხრათ, რომ ამისთანა ამხანაგობებს ბანკი სესხად აძლევს 3—6000 მანეთამდე. ყოველ შემთხვევაში მე ვეცდები თქვენი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნას. ეხლა კი ვეცდები, მოკლედ გაგაცნოთ ამხანაგობის წესდებაო.

ამის შემდეგ გააცნო დამსწრეთ წესდება და სთქვა, ეს არის მოკლედ ამხანაგობის-წესდება. მოკლედ მეთქი ვამბობ, რადგან მალე დავუბრუნდებით ამავე საკითხს და უფრო ვრცლად და დაკვირვებით გავარკვევთო. დიდი ხანი გაივლის?—ეკითხებიან აქეთ-იქიდან. ამ სამ-ოთხ თვეში პეტერბურგიდან მივიღებთ ნებართვას და საჭირო წიგნებს და საქმესაც შევუდგებითო. შემდეგ მისცეს რამდენიმე კითხვა. ინსპექტორმა ვრცელი პასუხები გასცა. დასასრულ სთქვა: ტავრიდის გუბერნიაში ერთმა ამნაირმა ამხანაგობამ ხუთი წლის არსებობის შემდეგ გიმნაზიის დასაარსებლად შესწირა 25,000 მანეთი. მე კი ვისურვებ, რომ თქვენს ამხანაგობას არა ხუთი წლის, არამედ ორის წლის შემდეგ და არა 25,000, არამედ 250,000 მანეთი შეეწიროს სხვა და სხვა კულტურულ და საქველმოქმედო დაწესებულება—საზოგადოებათათვის, რათა ამ კულტურულ ნაყოფით სარგებლობა შეეძლოს ყველას, როგორც აი ამ სხივებით (მიუთითა მზის სხივებზე) სარგებლობს ყველა-ბედით კმაყოფილი და ბედის მოძულარი, მდიდარი და ღატაკი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი. დიდ, მოსპოთ ბოლო ამდენ უსამართლობას, სიბნელეს და უკუღმართობას, რომელთაც მაგრა გაუდგამთ ფესვები ჩვენს ხალხში, ჩაუხუტნიათ იგი მკერდში და ახრჩობენო...

კრებამ ტაშით დააჯილდოვა ბ-ნი დავიდოვი. კრების შემდეგ ბ-ნი დავიდოვი წავიდა ს. ხიდისთავს. აქაც გლეხებს მდაბიოდ განუმარტა მიზეზი თავის სტუმრობისა და გააცნო წესდება. გლეხებმა (30-მდე კაცმა) უნდობლობით შეხვდეს დავიდოვის წინადადებას, მაგრამ როდესაც ბ-მა მ. ახალბედაშვილმა განუმარტათ, თუ რა კეთილი აზრით ეწვიათ მათ ინსპექტორი, განუმარტა ამხანაგობის მნიშვნელობა და ისე რომ [illegible] მიიღეს ეს წინადადება. ინსპექტორმა ამათაც სამ-ოთხ თვის შემდეგ [illegible] ამხანაგობის დასაარსებლად. ამ საღამოსვე ბ-ნი დავიდოვი გაემგზავრა ს. ახალქალაქისკენ ამავე აზრით.

უნდა ვსთქვა, რომ თუმცა გორში არსებობს საურთიერთო საზოგადოება (общество взаимнаго кредита), მაგრამ იგი ნამდვილი ბიუროკრატიული დაწესებულებაა. ისევ არზები, ისევ მთელი დღეობით გამგეობის კარებში ცდა და დაუკმაყოფილებლად სახლში გაბრუნება. კრედიტი ხშირად გახსნილია, მაგრამ ფულის სესხად მიღებას ორი-სამი თვის შემდეგ ძლივს ეღირსებით. ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ წვრილმა ხელოსან-ვაჭრებმა საკუთარი წვრილი კრედიტის დაწყობა განიზრახეს.

**ს. გელიშვილი.**

# პატარა შენიშვნა

(გ. ნ. ავალიშვილის წერილის გამო).

თავისს მეტად საინტერესო წერილს „ჩვენი თეატრის მატიანედან“ პატივცემული ბ. ნ. ავალიშვილი, რომ მეტი არა ვთქვათ, ერთ უცნაურობით იწყებს.

იგი სრულიად უარ-ჰყოფს ღვაწლს ჩვენის თეატრის დაარსებაში გ. ერისთავისას და პირდაპირ ამბობს: „ლეგენდალურად“ გ. ერისთავისადმი ქართულ თეატრის მიჩემებამ (?) 1900 წლამდის გასტანა და ამ წლიდან კი წინააღმდეგი აზრი გამოითქვა: მივაგნეთ, რომ პირველ თეატრის ნამდვილი დამფუძნებელი, უფრო კი შემომღები იყო. თ. ვორონცოვი, იმ დროს მთავარ-მართებელი, ხოლო გ. ერისთავი იყო მისი მოხელე, ქართულ თეატრის მართვა-გამგეობისთვის დაწესებულ განსაკუთრებულ მონდობილებას თანამდებობაზე დანიშნული, შესაფერი ჯამაგირითა და თეატრისთვის ცალკე სუბსიდიის დანიშვნით“-ო.

საკვირველი აზრია! გამოდის, რომ გ. ერისთავი უბრალო მოხელე ყოფილა, როგორც, აი, თუნდა ტე-

---

ხერია, მოგზაურთა და მხილველთა უტყუარ და მრავალ მხრივ დამოწმებით ხელში, ამტკიცებენ, რომ ველურ და ნახევრად-ველურ ადამიანის ყველაზე თვალ-საჩინო თვისებას მთელს დედა-მიწის ზურგზე მისი მუდმივი, გულწრფელი მხიარულება, დაუძლეველი, ბუნებრივ სიამოვნებით აღსავსე ხუმრობა და შეუწყვეტელი, შმაგი ხშირად სრულიად უაზრო სიცილ-ხარხარი შეადგენს. მხოლოდ შიმშილი სწყვეტს დრო-გამოშვებით ამ უზრუნველს ცხოვრებას, მაგრამ იმის უსიამოვნოს პრიმიტიული გონება ადვილად ივიწყებს, „მომავალზე კი ის არ აზროვნებს. საზოგადოდ იგი სრულიადაც არ **აზროვნებს** იმგვარად, როგორც ჩვენ ეს გვესმის; მას მხოლოდ **ნებავს** და ნებავს კი მხოლოდ თავის არსებობის შენარჩუნება“ (კ. ბიუხერი: „წარმოშობა სახალხო მეურნეობისა“, გერმან. გვ. 15, და შ., IV გამ. ტიუბ. 1904 და ჰ. სპენსერი: „სოციოლოგიის პრინციპები“, § 75).

თუ კაცობრიობის მიზანი მართლაც მხოლოდ ბედნიერებაა, მას ურჩევნია დროზე შეაჩეროს თავისი მოუსვენარი ძიება „უტოპიის კუნძულის“ ნაპირებისა და უკან მოაბრუნოს თავისი ისტორიული ხომალდი: ბედნიერების სამეფო უკვე აღმოჩენილია და მისი სახელი „შუაგული აფრიკაა“. ზანზიბარის და ნიაგარის ნაპირებზე სცხოვრობენ ამ ქვეყნის უბედნიერესი არსებანი, ნილოსის და იორდანეს მიდამოებში კი სიხარულისა და გამარჯვების ხმას ხშირად სასოწარკვეთილების უიმედო ტირილი შეერთებია.

მხოლოდ უსუსური არსებანი, რომელნიც აწმყოში მუდამ ნუგეშს საჭიროებენ, ხოლო მომავალში „ნეტარების“ აღთქმას, ვერ ამჩნევენ იმ გარემოებას, რომ კაცობრიობის ნავს სრულიადაც იმ საზღაპრო ბედნიერების კუნძულისაკენ არ მივყევართ, სადაც თვითეულს სიამოვნების მუდმივ დაუშრეტელი ფიალა ელის და მუდმივი სიხარულის უკვდავი ანგელოზი უღიმის. უნიადაგო ოცნებაა! ბედნიერება უკვე იმიტომ არ შეიძლება გარდაიქცეს ადამიანურ ცხოვრების მიზნად ან, მით უმეტეს, საბოლოო შეურყეველ მდგომარეობად, რომ ყოველი გრძნობა ბედნიერებისა აუცილებლად ინდივიდუალურია და დროებით ვიწროდ განსაზღვრული, ცხოვრება კი შეუდარებლად უფრო ღრმა და ფართოა, ვიდრე თუნდ უდიდესი ინდივიდუალობა ან უმშვენიერესი და უკეთილშობილესი წუთიერება.

ცხოვრების გარეშე და მასზე მაღლა არა-რა არსებობს, რაც შეიძლება მის მართებულს მიზნად ჩაითვალოს, მას შემდეგ არა-რა მოსდევს; რაც შეიძლება მის ზნეობრივს დამთავრებად გარდაიქცეს: მხოლოდ სიკვდილია სიცოცხლის უახლოესი მემკვიდრე და დასასრული, სიკვდილი კი უდიდესი ბოროტებაა, უდიდესი ცოდვა და შეჩვენება. ამიტომ **უდიდესი ღირებულება, უდიდესი ზნეობრივი სიკეთე თვით ცხოვრებაა.** არა ერთი რომელიმე მხარე ცხოვრებისა, არა მარტო ინდივიდუალობა ან მარტო სოციალობა, არა მარტო ბედნიერება, სიამოვნება და კმაყოფილება ან, პირიქით, თავგანწირულება, ტანჯვა და უბედობა, არამედ ცხოვრება როგორც მთლიანობა, როგორც განუზომლობა ძალთა და შესაძლებლობათა, როგორც დაუშრეტელი სიმდიდრე ნიჭთა და თვისებათა. და ცხოვრება არა სიკვდილის შემდეგ, ცხოვრება არა მაშინ, როცა ჩვენ მკვდრეთით აღვსდგებით, არამედ სანამ დავიხოცებოდეთ, სანამ ცხოვრება მართლა ცხოვრებაა.

ესაა უბედურება მეტაფიზიკურ და ევდემონისტურ მორალისა, რომ ის ცხოვრების მიზანს იმაში ეძებს რაც ცხოვრების უარყოფაა ან მხოლოდ მისი ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მხარე. და ესაა ბედი თუ უბედობა კაცობრიობისა, რომ უდიდესი სიკეთე, უმაღლესი და უმშვენიერესი იდეალი, რომლისკენაც ის მიილტვის, მუდმივ მახლობელი, მაგრამ მასთან ერთად მუდმივ მიუწდომელია მისთვის. მუდმივ შეუსვენებელი დევნა იდეალისა, რომლის ამღზნები სიახლოვე მისთვის ასე საგრძნობელია, რომლის ბოლო მას თითქო ხელში ეგულება: მუდმივ დაუცხრომელი წყურვილი ცხოვრებისა, მეტი ცხოვრებისა, რომელიც მით მეტად ძლიერდება, რაც უფრო სცდილობენ მის დაცხრობას,—განა ეს ხვედრი ტრაგიკული არ არის ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით? განა ბედნიერების მიღწევა ამ შმაგს დაუსრულებელს სრბოლასთან შედარებით ბევრად უფრო ადვილი არ იქმნებოდა?

არსებობს ერთგვარი სულიერი ავადმყოფობა, რომელიც გარეგნულად უაზრო, გამოუთქმელ ნეტარებით აღსავსე ღიმილში იხატება. თუ გარეგნული გამოსახულება აქ დაახლოვებით მაინც შეესაბამება შინაგანს მდგომარეობას, შეიძლება ითქვას, რომ ის შესაბრალისნი არსებანი, რომელნიც ამ ავადმყოფობით არიან შეპყრობილნი, უუბედურესს ადამიანებად უნდა ჩაითვალნენ ამ ქვეყანაზე. მაგრამ რომელს გონიერს ადამიანს არ მოჰგვრის ზიზღის და ძრწოლის ჟრუანტელს ასეთი „ბედნიერ მომავალის“ შესაძლებლობა? ვინ არ არჩევს ცხოვრებას სავსეს ბრძოლით, საფრთხით და ტანჯვით ასეთს სულიერს ნეტარებას?

დარვინმა სამართლიანად სთქვა, რომ ადამიანის, ისევე როგორც უფრო დაბალ ცხოველების ინსტიქტებიც, მოდგმის საერთო **გაუმჯობესებისკენ** ვითარდებიან და არა ბედნიერებისაკენ (ჩ. დარვინი: „წარმოშობა ადამიანისა“, თავ. 4), არსებობის გაუმჯობესება კი მისი ყოველმხრივი გაღრმავება და გაფართოვება, მის წიაღში ჩამალულ ენერგიის და ნიჭის ყოველმხრივი გაშლა და განვითარებაა. და ეს განვითარება, ეს ლტოლვა მეტის ცხოვრების, მეტის არსებობისკენ იდეალად ჰხდება, როცა მას შეგნების შუქი ანათებს.

რაც უფრო მაღალს საფეხურზე ადის ცნობიერებით აღჭურვილი არსება, რაც უფრო პირდაპირ, ძლიერად, უშუამავლოდ ჰგრძნობს ის თავის ბუნებაში ცხოვრების სიმდიდრეს და დაუსრულებლობას, მით უფრო უძლეველი ჰხდება მასში სევდა კიდევ უფრო ფართო, კიდევ უფრო ინტენსიურ ყოფნისადმი, მით უფრო იზრდება მასში ნდომა მიუწდომელ, იდეალურ ყოველმხრივობისადმი, სულ ერთია მარტო სიამოვნებას და სიტკბოებას უქადის ეს ყოველმხრივობა თუ არა. ესაა ის კოსმიური დრამა, რომლის ადამიანური მხარე გამოუთქმელ სიდიადით გამოსჭვივის ყოველ ჭეშმარიტად ტრაგიკულ ხელოვნებიდან.

ცხოვრების ამ შინაგანს დისჰარმონიაზეა აშენებული ის წინააღმდეგობა არსებულსა და ზნეობრივად სავალდებულოს შორის, რომელიც ეთიურ შეგნების ძირითადს ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ეს არაა წინააღმდეგობა ამ ქვეყნიურსა და იმ ქვეყნიურს შორის, როგორც ამას თეოლოგიური ეთიკა ჰფიქრობს: იმ ქვეყნიური ყოფნა არავითარს ამ ქვეყნიურს შეგნებაში არ მოიპოვება, როგორც რეალური განცდა. შეგნებაში საიქიო არსებობს მხოლოდ როგორც გამოურკვეველი აჩრდილი, როგორც უსისხლხორცო მოჩვენება, როგორც ლანდი სააქაო ცხოვრების მიერვე ნასროლი: მოჩვენებას კი არ ძალუძს დაუპირდაპირდეს რეალურ შინაარსით აღსავსე სინამდვილეს, როგორც ისეთი რამ, რაც ეთიურად სავალდებულოა და სალტოლველი. ეს არაა აგრეთვე წინააღმდეგობა გრძნეულებისა და გონების შორის, როგორც ეს რაციონალისტურს ეთიკას ჰგონია: გრძნეულებაც და გონებაც ერთნაირად შეიძლება განხილულ იქმნას, როგორც არსებულის ისე სავალდებულოს თვალთსაზრისით. გრძნეულება არ არის მხოლოდ ზნეობრივად უარსაყოფი რამ, გონების ბატონობა არ შეიძლება ყოველთვის დასადასტურებლად და სავალდებულოდ იქმნას აღიარებული. რა უცნაური და გაუგებარია ადამიანურ გრძნობისთვის ეს გრძნეულების უარყოფა გონების სახელით! განა იმ, რაციონალიზმის მიერ ათვალისწუნებულს, „გრძნეულს გრძნობებში“ ხშირად ათასჯერ უფრო ნათლად არ იხატება ადამიანის ზნეობრივი სისპეტაკე და კეთილშობილება, ვიდრე უგრძნობ და მშრალ ჭკუა-გონების შემოქმედებაში! თუ სქესობრივი, მეგობრული, ნათესაური, ეროვნული და ჰუმანიტარული გრძნობანი ისეთი რამაა, რაც უნდა შებოჭილ და უარყოფილ იქმნას რაღაც უზენაეს ზნეობრივ ვალდებულების და გონიერების სახელით, რაღა დაგვრჩება ხელში ჭეშმარიტ ადამიანობის მაგიერ? რამდენიმე მშრალი ჭეშმარიტება ფორმალურ ლოგიკისა, თუ ელემენტარულ გეომეტრიიდან, რამდენიმე უშინაარსო მეტაფიზიკური ცნება ფრიად მძლე და ფრიად უსისხლხორცო, როგორც ის მისტიურნი ფურნი, რომელნიც ეგვიპტელს ფარაოს ესიზმრნენ, შემდეგ რამდენიმე მისტიური სიზმარი „გრძნეულებისაგან თავისუფალი ინტელიგიბური არსებისა“ და რამდენიმე უნაყოფო ცდა ამ სიზმართა ახსნისა?!..

არა, არა გრძნეულების უარყოფით და განადგურებით, არა თავის ადამიანობის გაღარიბებით და შევიწროებით მიაღწევს ადამიანი ზნეობრივად სავალდებულოს. პირიქით, უსაშინელესი ზნეობრივი შეცოდება და სიდუხჭირე იქმნებოდა იმ სიყვარულისა და სიძულვილის, თავმოყვარეობისა და თავგანწირულების, კრძალვისა და აღშფოთების, თავმდაბლობისა და სიამაყის შესუსტება ან, მით უმეტეს, მოსპობა, იმ ბუნებრივ და გულწრფელ ვნებათა და გრძნობათა შებოჭვა, რომელნიც ადამიანს ადამიანად, ე. ი. ზნეობრივს პიროვნებად ჰხდიან. გრძნეულების გაშუქება და გაკეთილშობილება გონებით და გონების გამსჭვალვა გრძნობათა ცხოველმყოფელ სითბოებით! აი, იდეალი ზნეობრივ სისრულისა, იდეალი რომელიც გაურბის ნათესაობას ყოველს გადაჭარბებულს ცალმხრივობასთან, სულ ერთია ტლანქი, პირუტყვული გრძნეულება იქნება იგი თუ „ზეკაცური“, ეთეროვანი გონიერების ჰიპერტროფია.

**გერონტი ქიქოძე.**

(შემდეგი იქნება)

ლიაკოვსკია ახლანდელ პეტერბურგის და მოსკოვის სახაზინო თეატრისათვის და მეტი არაფერი ჩვენი თეატრისთვის!

არა, ბატონო, ჩვენ 1900 წლამდისაც ვიცოდით და დღესაც ვიცით, რომ გ. ერისთავი იყო და არის პირველი ქართველი დრამატურგი, რომელმაც შესაძლებლად გაჰხადა ქართულ თეატრის დაარსება; რომ მისმა კომედიებმა ჩაუყარეს სწორედ საძირკველი ჩვენს თეატრს და სული ჩაუდგეს. დიახ, რომ მაშინ გიორგი ერისთავი არ გამოსჩენოდა საქართველოს თავისს უკვდავ კომედიებით, ვერც ვერავინ დააფუძნებდა ქართულ თეატრს, ან „შემოიღებდა“, როგორც თქვენ ამბობთ, თუნდ თვით თ. ვორონცოვიც!

გეთანხმებით, რომ, შეიძლება, გ. ერისთავს, როგორც პოეტს და მხოლოდ პოეტს, აკლდა ენერგია ცხოვრების პირობებთან ბრძოლაში, აკლდა პრაქტიკულ მოქმედების უნარი საზოგადოდ და სათეატრო საქმის გაძღოლაში კერძოდ; რომ ის მართლა, როცა ივ. კერესელიძეს თეატრის ავლა-დიდებას უყიდდნენ, როგორც თქვენ ამბობთ, „თავის მსხვილ ჯოხით ბულვარზე არხეინად დასეირნობდა“, მაგრამ ქართულ თეატრის მამამთავრად და პირველ სულის ჩამდგმელად მაინც ის უნდა ჩაითვალოს და ითვლება კიდევაც!

**დუტუ მეგრელი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** კვირის სახალხო წარმოდგენას საკმაო ხალხი დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. ცოცხლად და ხალისიანად ჩაატარეს ამ საღამოს ორი კომედია: „ირინეს ბედნიერება“ დ. კლდიაშვილისა და „სიძე-სიმამრი“ ვ. გუნიასი.

სამშაბათს, 2 თებერვალს, ქართულმა დასმა გადაუხადა ბენეფისი მსახიობს ვასილ ბალანჩივაძეს. ითამაშეს პირველად ოსტროვსკის ახალი პიესა „ახალი თაობა“, თარგმანი შ. დავითაშვილისა და მობენეფისეს ვოდევილი „კუდიანი ვარსკვლავი“.

ოსტროვსკი ახალგაზდა დრამატურგია. მის ნაწარმოებიდამ ჩვენ მხოლოდ ორი პიესა გვინახავს; პირველი რუსულად „живой товаръ“, რომელიც ამ დღეებში ითამაშა აქ ტფილისის რუსულმა დასმა და მეორე კი ეს. ორივე პიესა შინაარსიანად მიგვაჩნია, მრავალი კარგი სცენაა მათში. ავტორს ნიჭი ეტყობა ცხოვრების ცოდნა—დაკვირვებაში.

„ახალი თაობის“ შინაარსი მოკლედ შემდეგია: ხანში შესულ პოლკოვნიკ ურალსკის (ბ-ნი ბალანჩივაძე) ჰყავს შედარებით ახალგაზდა და ლამაზი ცოლი (მეორე) სოფიო ნიკოლაევნა (ქ-ნი ქილარჯიშვილი). ცოლი მდიდრულ ცხოვრებას, ფუფუნებას და ხელგაშლილობას ეძლევა. ქმარს უყვარს ცოლი, ეს უკანასკნელი არ აფასებს მეუღლის თანაგრძნობას. ქალს ბევრი თაყვანისმცემლები ჰყავს და ბევრსაც უთანაუგრძნობს, უმთავრესად-კი ალექსეი მატიუხინს (დ. ჩარკვიანი), რადგანაც იგი მის საყვარლებში ყველაზედ უფრო მდიდარია. პოლკოვნიკი ბრმა მონა სიყვარულისა, ვერც არასა ჰხედავს და არც რამე სჯერა თავის მეუღლის მოქმედების შესახებ. იგი ემორჩილება ცოლის ნება-სურვილებს, ასრულებს ყველა მის მოთხოვნილებას, მართავს საღამოებს, ეწევა შეუფერხებელ ხარჯს, ეპატიჟება ხშირად მთელ პოლკის აფიცრობას, ოღონდ ცოლი დასტკბეს—იმხიარულოს. ყოველსავე ამას სჭირია ფული. შემოსავალი არა ჰყოფნის და... შემოეფლანგება სახაზინო თანხა, ასე ასოც ათას მანეთამდე... ფულის შოვნა და საქმის გამოუმჟღავნელობა შეუძლებელი შეიქმნა. პოლკოვნიკი სამსახურიდან გადააყენეს და პასუხის გებაშიაც მისცეს. მაგრამ საქმე ამითი არა თავდება. პოლკოვნიკს ჰყავს ვაჟი პირველ ცოლიდან—ანდრეი (ა. იმედაშვილი), რომელიც ატარებს სამხედრო მუნდირს ოფიცრისას. მას შემდეგ რაც ანდრეის მამას ფულის გაფლანგვა დაუმტკიცდება, ამხანაგები თავის დამცირებად სთვლიან იყოლიონ სახელგატეხილ მამის შვილი. ანდრეი შესდგავს თუ არა ფეხს აფიცერთა საკრებულოში, ამხანაგებთან გამოსამშვიდებლად, რადგან იგი უკვე გადადგა სამსახურიდან, ამხანაგები ხელს არ გაუწვდიან ჩამოსართმევად და ერთი მათგანი, ზორინი, დამამცირებელის ეპიტეტებით შეეხება იმის პიროვნებას. ამაყი და ფიცხი ანდრეი ვერ ითმენს ასეთს დამცირებას და მოქმედებით შეურაცყოფას აყენებს. ამ ინცინდენტს მოჰყვება დუელი. დაიჭრება ანდრეი, მაგრამ არა სასიკვდილოდ. მამის სახლში შემოჰყავთ დაჭრილი ჭაბუკი აფიცრებს. მამას მოულოდნელ მწუხარებისგან გონება ებნევა, დედინაცვალი-კი თავის საყვარელთან ერთად პარიზში წავა.

პიესის სათაური „ახალი თაობა“ შეუფერებელია. მართალია ნახევრად დამსხვრეულ ანდრეის სიცოცხლეს ევლინება ქალი ანდრეევნა (პოლკოვნიკ ტვერსკოის შვილი); მათ ერთმანეთი უყვართ და ახალ ცხოვრების დასაწყებად მიუწოდებს ქალი ვაჟს, მაგრამ მთელ პიესაში ეს ყველაზე უფრო სუსტი ადგილია, და ახალი თაობისა აქ არაფერია... რუსულად ამ პიესას „спутница жизни“ ჰქვიან.

პიესა კარგად წარმოადგინეს. მობენეფისემ პოლკოვნიკის როლი რიგიანად ჩაატარა, თუმცა ამგვარი როლები იმის ნიჭს ნაკლებად შეეფერება. მოგვეწონა ბ-ნი დ. ჩარკვიანი დანარჩენნი მსახიობნიც მოხდენილად თამაშობდნენ, მხოლოდ ზოგიერთებს საკადრისი ტანისამოსი არ ეცვათ, ნამეტნავად პოლკის ექიმს და გრაფსუხანტს.

ვოდევილმა „კუდიანმა ვარსკვლავმა“ დიუსრულებელის სიცილით ჩაიარა. დროც ისეთი შეხვდა. ეხლაც ყველა კუდიას ვარსკლავზედ ლაპარაკობს.

საზოგადოება საკმაოდ დაესწრო და მობენეფისე შესაფერისად მიიღო.

კვირას 7 დეკემბერს, დანიშნულია ბენეფისი ბ-ნ დ. ჩარკვიანისა. ითამაშებენ ბ-ნ ილია პონტელის ახალ პიესას „საშინელი ბრძოლა“ ჩვენი ინტელიგენციის ცხოვრებიდან.

**ჯაფარ-ფაშა.**

---

**მელიქიანის საიუბილეო წარმოდგენა.** მსახიობ ქალის ქ-ნ მელიქიანის საიუბილეო კომიტეტი დღესასწაულს გამართავს 15 თებერვალს. გადაწყვეტილია, წარმოდგენა დაიწყოს ქართულად და სომხურად, ბილეთები უკვე იყიდება.

---

**ვერის სახალხო აუდიტორია.** შაბათს, 6 თებერვალს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება „ერთი ნაბიჯით წინ“ დრამა ა. ცაგარელისა.

## მ. ი. ჩოგოვაძე
(ნეკროლოგი).

31 იანვარს, ნაშუადღევის 6 საათზე, სიკვდილმა წუთი-სოფელს გამოასალმა ჯერ კიდევ ყმაწვილი, მხნეობით სავსე მელიტონ იესეს ძე ჩოგოვაძე.

ქვიტირის საზოგადოების სოფ. ბანოჯის ღარიბი გლეხის შვილმა მელიტონმა, მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებისა, 1895 წელში დაამთავრა სასულიერო აკადემია და ცოდნით აღჭურვილი დაუბრუნდა სამშობლოს, სადაც შეუდგა დაუღალავ შრომას. სხვადასხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მელიტონი ათავსებდა თავის წერილებს, განსაკუთრებით კრიტიკულ ხასიათისას, მალე მელიტონი ქუთაისის სასულიერო სემინარიაში დანიშნეს ქართული ენის მასწავლებლად თუმცა სემინარიაში ქართული ენა მთავრობის პროგრამის წყალობითა და რექტორის პირად განკარგულებით სრულიად აბუჩად იყო აგდებული და ქართულის გაკვეთილზე რუსულს უფრო სწავლობდნენ მოწაფეები, ვიდრე ქართულს (ქართულიდან რუსულად უნდა ეთარგმნათ საღვთო წერილი და გაკვეთილებზე თითქმის სულ რუსულად უნდა ყოფილიყო ლაპარაკი), მაგრამ მელიტონი მაინც ახერხებდა ქართულ საერო ლიტერატურის სწავლებას, აძლევდა მოწაფეებს წიგნებს საკითხავად და ამგვარად აღიარებდა სამშობლო ენას. ამ ნიადაგზე და მასთან, როგორც მეტად პირდაპირსა და სიმართლის მოყვარე კაცს, განსვენებულს ხშირად მოსდიოდა უკმაყოფილება რექტორთან და სხვებთან, რომელთაც ვერ მოეწონებინათ ის გარემოება, რომ მოწაფეებს ძლიერ უყვარდათ მელიტონი. 1904 წელს, ქუთაისის სემინარიის დახურვის შემდეგ, მელიტონი უადგილოდ დატოვეს, დანარჩენი მასწავლებლები კი სხვაგან გადაიყვანეს. ექვსი თვის შემდეგ რამდენიმე გაკვეთილი მისცეს სასულიერო სასწავლებელში. 1903 წელს მელიტონი მიიწვიეს ქართული ენის მასწავლებლად გაბრიელის სახელობის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში. მალე მიწვეულ იქმნა ქართულისავე მასწავლებლად ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1905 წელს კი მელიტონი დანიშნეს საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორად.

განსვენებული სულითა და გულით შეუდგა მძიმე მოვალეობას და მთელის არსებით მტლად დაედო მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს. მას ტყუილად ჯდომა, შესვენება არ შეეძლო: უსათუოდ მუშაობდა ან გონებრივად ან ფიზიკურად. შრომისა შვილი, ტანჯვაწვალებაში აღზრდილი, არასოდეს არ ივიწყებდა ღარიბ მოძმეებს და, დღეს თუ მოწაფეებს თავს ედგა და ასწავლიდა, სასწავლებელს განაგებდა, ხვალ ხელში სახნავი ან ბარი ეჭირა, გვერდში უდგა გლეხებსა და ასწავლიდა გაუმჯობესებულ წესით მუშაობას. დიდი ღვაწლი დასდო განსვენებულმა თავის სოფელს ბანოჯას საეტლე გზის გაყვანითა და უკანონოდ შეწერილ დიდძალ სახელმწიფო გადასახადის პატიებით. მისივე წყალობით გაიხსნა ბანოჯაში სოფლის სასწავლებელი; მისი ხარჯით არა ერთი და ორი მოწაფე სწავლობდა სხვა და სხვა სასწავლებელში. მელიტონი ერთად-ერთი ნასწავლი იყო მთელს სოფელში და, თუ ვისმეს რამე გაუჭირდებოდა, ყველა მისკენ მირბოდა დახმარებისათვის. ისიც დაუზარებლად, უსასყიდლოდ ეხმარებოდა ყველას წერით, სიტყვით, საქმით.

ქუთაისის ქართველ საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. ყოველს საზოგადო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ყველას უყვარდა მელიტონი, როგორც იშვიათ ღირსებებით დაჯილდოვებული ადამიანი, და მისმა უდროოდ დაკარგვამ ბევრს დასწყვიტა გული. არ მისწონდათ იგი მხოლოდ იმათ, ვისაც თვალებს სჭრიდა მისი პირდაპირობა, სიმართლის მოყვარეობა. მელიტონის სიკვდილის შემდეგ სრულიად უნუგეშოდ დარჩნენ მისი ღრმად მოხუცებული დედა, დები და ძმები...

**ისარა.**

## არტელი „ვარიაგი“
(წერილი რედაქციის მიმართ)

ამ დღეებში შესდგა საქონლის დამცლელ-დამტვირთველთა არტელი „ვარიაგი“. ამ არტელის პროექტის შემდგენელი ბ-ნი ს. სემიანიშინია, ხოლო ორგანიზატორი ი. ს. ასამბაძე. არტელი შესდგა 400 კაცისაგან. საწევრო ფული თითომ 30 მანეთი შეიტანა სახელმწ. შემნახველ-გამსესხებელ კასაში. არტელის წარმომადგენლებმა განცხადება შეიტანეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში. თხოულობენ, ამ არტელს მიეცეს სრულიად ამ რკინის გზაზე დატვირთვა-გადატვირთვის საქმე. თუ რკინის გზამ შეიწყნარა თხოვნა, მაშინ საჭიროა გირაოდ ამ თავითვე 60,000 მანეთი, რაც უნდა შესდგეს საწევრო ფულიდან. რკინის გზის სამმართველოსაგან მოელიან პასუხს.

ამასთან არტელი აცნობებს იმ პირთ, რომელნიც დღეს რკინის გზაზე დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეს აწარმოებენ, რომ ისინი უსათუოდ მიღებულ იქნებიან არტელში წევრებად. თუ რკინის გზის საქმე სრულებით გადავიდა არტელის ხელში, მაშინ საჭირო იქნება 2,000 კაცი, ე. ი. კიდევ უნდა მიიღოს არტელმა 1600 კაცი. ვიღაც ბოროტმა პირებმა ხმა დაავდეს, ვითომ ეს არტელი ბიუროკრატიულია. და ამასთან ბევრი ავარა ხალხი მოჰყვა შიგაო. ეს სიცრუეა. არტელში მიღებულ იქმნენ ისეთი პირები, რომელნიც საერთო კრიზისის გამო ულუკმა პუროდ არიან დატოვებულნი. არტელს არ მიუღია და არც მიიღებს ისეთ პირებს, რომელნიც ქურდობის და, ან სხვა სხვა რაიმე მიზეზით დათხოვნილი იქმნენ საქმიდან.

არტელში, 3 ოქტის ძალით, მიღებულ იქმნა და მიიღება ყველა ეროვნების ხალხი, მხოლოდ ჯანმრთელი და არა ნაკლები 20 წლისა. ამასთან არტელში შემსვლელი უნდა იყოს უსათუოდ რუსეთის ქვეშევრდომი.

ამ ცოტა ხანში არტელის მოთავენი გახსნიან ტფილისში კანტორას და აირჩევენ ერთ რწმუნებულს, რომელმაც უნდა აწარმოოს აწინდელი საქმე. კანტორის ადრესი არტელის წევრებს ეცნობებათ გაზეთების საშუალებით.

**ნ. ს—ძე.**

---

P. S. ვთხოვთ გაზეთ „ზაკავკაზიე“-ს რედაქციას, გადაბეჭდოს ეს წერილი.

**ნ. ს.**

## უცხოეთი

**ფრანგ სოციალისტების კონგრესი.**

24 იანვარს ქალ. ნიმში გაიხსნა ეროვნული კონგრესი საფრანგეთის შეერთებულ სოციალისტების პარტიისა. კონგრესმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია შემდეგ ორ საკითხს: მომავალ საპარლამენტო არჩევნებს და კანონპროექტს მუშების პენსიების შესახებ.

პირველ დღეებში კონგრესმა განიხილა მუშების პენსიების საქმე და 193 ხმის უმეტესობით 157 წინააღმდეგ დაადგინა, თუმცა ამ კანონპროექტს დიდი ნაკლი აქვს, სოციალისტმა დეპუტატებმა მაინც მხარი უნდა დაუჭირონ იმასაო. ასეთ დადგენილების და მეხედულების წინააღმდეგ ცხარედ იბრძოდა სოციალისტების პარტიის ფრთა ცნობილ ჰერვეს მეთაურობით. ჰერვე პირველ დღესვე დაეცა სოციალისტ-დეპუტატებს, რომლებსაც დაარღვია სრული დავიწყება რევოლიუციონურ ტრადიციებისა. უველაზე მეტად იგი ჰკიცხავდა ჟორესს, რომლის „დამღუპველ“ გავლენის წყალობით სოციალისტები მხარს უჭერდნენ ისეთს უხეირო და მუშების სურვილების წინააღმდეგ კანონპროექტს, როგორიცაა ეხლანდელი კანონპროექტი მუშების პენსიების შესახებო. ჰერვემ გაიხსენა, რომ პარტიამ არა ერთხელ დამიპირა თავის წრიდან გამორიცხვა და ეხლა მე თითონ გეკითხებით ჩემს თავს, იქნება სჯობდეს, რომ მე თითონ მივატოვო პარტია, რადგან ჩემის უფონით თითქო რევოლიუციონურ ბეჭედსა ვკრავ პარტიას, ხოლო ერთი ბეჭედი სრულიად არ შეეფერება ეხლანდელ შეერთებულ სოციალისტებსო. ჰერვე და მისი თანამშრომლები შემდეგ დღეებშიაც ძლიერა ჰკიცხავდნენ პარტიას. ერთმა მათგანმა სთქვა, რომ მუშათა წრეში გადაჭრით სწუნობენ კანონპროექტს მუშათა პენსიების შესახებ და ამიტომ სოციალისტურმა პარტიამ ამ შემთხვევაში უნდა გადაჭრით გამოსთქვას მუშათა კლასის სურვილიო; თუ პარტია ამას არა იქმს, მაშინ მასა და დარაზმულ პროლეტარიატს შორის გაიშართება ისეთი უფსკრული, რომლის ამოვსება შეუძლებელი იქნებაო, მეშარცხენე სოციალისტები ამტკიცებდნენ, რომ ხსენებული კანონპროექტი საკმაო და სრული არაა, მუშების მოშეტებულ ნაწილისთვის იგი ახალ გადასახადს წარმოადგენს, რადგან მუშებიც ვალდებულნი არიან წვლილი შეიტანონ საპენსიო ფონდშიო; იმ მუშათა რიცხვი, რომელთათვისაც ნამდვილად სასარგებლო იქნება კანონპროექტი, ძლიერ მცირეა, მისი კაპიტალიზაციის წესი ძლიერ უსინდისოა და სხვა.

უკიდურეს სოციალისტებს პასუხი გასცეს სემბამ, ჟორესმა და სხვებმა. ყველაზე ბრწყინვალე სიტყვა დეპუტატ-სოციალისტების ტაქტიკის დასაცველად ჩვეულებრივ წარმოსთქვა ჟორესმა, თავდაპირველად მან დაამტკიცა, რომ არც „შრომის საყოველთაო კონფედერაცია“, არც ჰერვე თავის მომხრეებით არ გამოსთქვამენ მუშათა მასსის სურვილსა და აზრს. სოციალისტმა დეპუტატებმა თითონ მუშათა ჯგუფების სურვილით უკუაგდეს შეურიგებელი ტაქტიკა. თითონ „შრომის საყოველთაო კონფედერაციას“ ხმა არ ამოუღია, როდესაც ეს კანონპროექტი პირველად წარუდგინეს პალატას; მაშინ ფიქრადაც არავის მოსვლია კაპიტალიზაციის წესების წინააღმდეგ ბრძოლა. ჟორესიც სრულად როდი სთვლის ამ კანონ-პროექტს, მაგრამ იგი მაინც გულმოდგინედ ეწინააღმდეგება ჰერვეს მომხრეებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მხოლოდ 300,000 მუშა ისარგებლებს კანონით და რომ მათი პენსია წელიწადში 400 ფრანკს არ გადააჭარბებსო. ორატორის ანგარიშით, სულ მცირედ 300,000 მუშა მიიღებს პენსიას—წელიწადში 1,080 ფრანკს, ხოლო პენსიონერების სრული რიცხვი გაცილებით მეტი იქნება. დასასრულ ჟორესმა გააფთხილა სოციალისტები: მარტო რადიკალებს ნუ დაუთმობთ სოციალურ პროგრესის წინ წაწევასო, და დაუმატა, რომ პირადად მე ხმას მივცემ ამ კანონპროექტს, ჰერვეს მუქარას არ შევუშინდებიო.

ჟორესის სიტყვამ გადამწყვეტი გავლენა იქონია კენჭის ყრაზე: როგორც ჩვეულებრივ ხდება, კონგრესმა ხმის უმეტესობით დაადგინა: სოციალისტმა დეპუტატებმა ხმა მისცენ ამ კანონპროექტსაო.


## კალენდარი
თებერვალი 28 დღე

ახალი სტილით 18

5

36 დღე წლის თავიდან. რჩება 329 დღე

### პარასკევი

**მართლმ.** წმ. მოწ. ალათიასი.
**კათოლ.** წმ. მოწ. ალათიასი.
**გრიგორ.** მარხვა.
**მაჰმად.** ჯუმა 7 რ. საფარისა 1328 წ. ჰირჯისა.
**ებრაელთა** იომშიშ 9 პირ. ადარისა 5670 წ. ქვეყნ. შექმნ.

## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—48)

## დაიკარგა ბეჭედი

ან. არამიანცის საავადმყოფოს კურთხევის დროს ძეწკვი ბრელოკით, აქვს ციფრები XXV და XXXX და ბეჭედი. გერბზე ნალია. ჯილდოს მიიღებს ის, ვინც წარუდგენს ძეწკვს პოლკოვნიკს კოგნოვიცკის, მიხეილის ქ. № 91. (1—1035—1)




## შეუდარებელი საჩუქარი

ნუ დახარჯავთ ტყუილად ფულს თეატრ ილიუზიონებში

სიარულით, რადგან სრული შეძლება გაქვთ ჩვენის სავაჭრო ფირმიდან გამოიწეროთ ახლად გაუმჯობესებული კინემატოგრაფიული აპარატი თავის მოწყობილებებით,

### ● თეატრი-ილიუზიონი ●

„ედისონის“ სისტემისა, გამართოთ თქვენს ბინაზე და აჩვენოთ შინაურებსა და ნაცნობებს ცოცხალი მოძრავი სურათები. ამისთვის არც განსაკუთრებული ადგილია საჭირო, არც განსაკუთრებული ცოდნა და არც სხვა რამე. ამ აპარატით დ იდგმება: ოპერები, დრამები, ტრაგედიები, კომიკური სურათები, მეანირ და ბიბლიური სურათები, ცეკვა, სპორტი, სამხედრო ამბები, რომელთაგან უფრო საინტერესოა: **შეხვედრა ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ მეორისა გერმანიის იმპერატორთან რეველში „შტანდარტზე“ 1909 წ., სურათები საღვთო წერილიდან, ძველსა და ახალ აღთქმიდან. დაბადება იესო ქრისტესი, წამება და მიცვალება. რუსეთ-იაპონიის ომი, მისი გმირები. ბერლინის ძეგლები, ადგილები, ტიპები და ცხოვრება: იტალიისა, ნიცცასა, ვენეციისა, აფრიკისა, ციმბირისა, და სხვა. ციმბირის გზის გაყვანა. ცხოვრება მატროსებისა, ალპში უდიდეს გემთა დედა-მიწაზე. „ცეპელინ მესამეს“ ფრენა. უმაღლესად ჯარის დათვალიერება. კატასტროფა რკინის გზაზე და ლიანდაგის შეკეთება. უბედური შემთხვევა ცირკში. ცეცხლი ნიუ იორკის დიდ თეატრში წარმოდგენის დროს. ჰაერში მფრენავთა გამარჯვება რეიმსში** და სხვა. აპარატი „თეატრი-ილიუზიონი“ ისეთ სუბუქ კონსტრუქციისა, რომ ყველა მდაბიორებს მის მოხმარებას. საქმაოა წაიკითხოს მარტო რუსულ ენაზე დარიგება, რომელსაც ჩვენ ვუგზავნით. სურათები სხვა და სხვა ფერისა ჩანს. ზომა ეკრანზე 2—2 არშ. და იმოდენაა, რამოდენაც დიდ რამდენიმე ასს მანეთზე ღირებულ აპპარატზე ჩანს. აპპარატი გამოდგება ნავთის, გაზისა და ელექტრონის განათებისთვის. როლები სურათებზე ასრულებულია ცნობილ არტისტების მიერ. ამ აპარატს თუ გამოიწერთ, მეგიძლიანთ გაართოთ თქვენი ნაცნობები და სტუმრები. **რომ რუსეთის ყველა მცხოვრებთ შეძლება მიეცეს შეიძინოს ასეთი საინტერესო აპპარატი,** ჩვენ მეტად იაფ ფასსა ვნიშნავთ, სახელდობრ: აპპარატი სამი ლენტით, რომელშიაც 150 სურათია და ლამფა **„ლუნა“** ყველა თავის მოწყობილებით, რეფლექტორით ღირს 9 მან. 50 კაპ. ასეთივე აპპარატი N 2, დიდი, უკეთ გაკეთებული—14 მან. 35 კაპ. აპარატი N 3, უდიდეს ტიპისა, განსაკუთრებულ მოწყობილებით, 300 არშ. ლენტით, მექანიკურ ობ ექტივით 1 ხარისხისა, უფასოდ ლამფა „Duplex“, 6 ლენტ.—ფასი 30 მან. სათადარიგო ლენტები სურათებისთვის: 85 კაპ., 1 მან. 25 კ., 1 მან. 75 კ და 2 მ. 50 კ. დაკვეთილი ნივთები გაიგზავნება ფასს-დადებით უბეოთ; გასაგზავნი ფული და ბაჟი ევროპ. რუსეთსა და კავკასიაში 1 მ. 50 კ., (აპპარატისთვის N 3—2 მ. 50 კ.), აზიის რუსეთში—1 მ. 75 კ. უფრო ძვირი, აღმოსავლ. ციმბირში—1 მან. ძვირი. აღმოსავლეთ ციმბირში აპპარატი N 3 უბეოდ (10 მან.) არ იგზავნება. ადრესი (რომელიც შეიძლება აქედან ამოიჭრას და დაეკრას კონვერტს ან ღია ბარათს)

Германія, Берлинъ, Кантъ ул. N 120, Berlin, Kantstr. N 120.
Торгов. Домъ Х. Финкельштейнъ. H. Finkelstein. **17**

P. S. ბერლინში გასაგზავნ წერილს უნდა დაეკრას 10 კ., ღია ბარათს 4 კაპ. მარკა. ჩვენი კინემატოგრაფიული აპპარატი „თეატრი-ილიუზიონი“ არ აურიოთ ფარანთან, რომელიც ბუნდოვან სურათებს აჩვენებს.

(Метцль и К-о N 6989). (2—6.—1)

## გაფრთხილება

რადგან **სპერმინი-პელისა** დღითი-დღე ვრცელდება, ამიტომ ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც ჩვენი წამლის ნაცვლად სხვას ჰყიდიან სხვა და სხვა სახელით (სპერმიტინის, სპერმინოლის, სპერძოლის, და სხვა სახელით). ხშირად ამ ყალბ სპერმინის გამყიდველნი თითონ სწერენ, ჩვენი წამალი **სპერმინ-პელის** „თანასწორია ან იმაზე უკეთესიო“. ხშირად ამ ყალბ წამალს ამზადებენ ისეთნი, რომელთაც ექიმობასთან არაფერი საერთო არა აქვთ: სააფთიაქრო და საპარფიუმერო მაღაზიების პატრონნი და სხვანი. რა თქმა უნდა, ასეთ ყალბ წამლებს მნიშვნელობა არა აქვთ და წამლის გამვრცელებელნი რეკლამებში ჰბაძვენ **სპერმინ-პელს** და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.

ამის გამო ჩვენ მოვალეებად ვრაცხთ, **გავაფრთხილოთ** ისინი, ვინც **სპერმინით** სარგებლობენ. მეცნიერთა და ექიმთა გამოკვლევით, **სპერმინ-პელი** სასარგებლო წამალია: ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურებისა, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, კანკალის, მიოკარდიტის). არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს. ყველა მყიდველმა ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სახელს ● **სპერმინ-პელს** ● და ფორმას, რადგან სხვა პრეპარატები მხოლოდ ყალბია და მიმსგავსება **სპერმინ-პელისა. ფლაკონი** ღირს 3 მან. ლიტერატურა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე უფასოდ 290 Органотерапевтическій институтъ.

Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и СЫНОВЬЯ.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ.

(Метцль и К-о. № 177994). (8—6.—4)


სტამბა „ხინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.